პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
შაბათი
15
თებერვალი
№ 39
(16165)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

ყოველი საუშაო დღე, საათი—დამკვრელური!

გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები და გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვეს

საბჭრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი;

ქალაქი გაგრა;

რაიონები: ახმეტის, გარდაბნის, დუშეთის, ზუგდიდის, სიღნაღის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ქობულეთის, აგრეთვე მეგობრულობაში — მარნეულისა და გორის, სოლო მეკარტოფილეობაში — ბოლნისის;

კოლმეურნეობები: აბაშის რაიონის სოფელ ტყვიერის სტალინის სახელობის, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ უჯმანის ყდანოვის სახელობის, ბორჯომის რაიონის სოფელ ტბის ორჯონიკიძის სახელობის, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის, ვეგეტკორის რაიონის სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის კალინინის სახელობის, დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის ლენინის სახელობის, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის სტალინის სახელობის, მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის მაიაკოვსკის სახელობის, საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის კიროვის სახელობის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის, ცაგერის რაიონის დაბა ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესი“, ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორნის კოლმეურნეობა „გამარჯვება“, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის, გალის რაიონის სოფელ მუხურის კოლმეურნეობა „შეშელეთი“, ქედის რაიონის სოფელ მერისის კ. მარქსის სახელობის, აგრეთვე მეგობრულობაში — ხაშურის რაიონის დაბა სურამის, ქალაქ სამტრედიის კიკვიძის სახელობის და მეკარტოფილეობაში — ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის „ოქტომბრის 40 წლის“, წალკის რაიონის სოფელ ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის;

საბჭოთა მეურნეობები: ბოლნისის რაიონის ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონის სამგორის მეფრინველეობის ფაბრიკა, გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, გურჯაანის რაიონის გურჯაანის სანერგე მეურნეობა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობა, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქარელის რაიონის დედოფლის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, გაგრის საჯიშე მეცხოველეობის მეურნეობა, ქობულეთის რაიონის ციხისძირის ციტრუსის საბჭოთა მეურნეობა, მარნეულის რაიონის ალგეთის ვიტამინიზებული ფქვნილის საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე მეგობრულობაში გარდაბნის რაიონის გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, მარნეულის რაიონის ფარაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა და მეკარტოფილეობაში — ბოლნისის რაიონის არაფლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა;

ფოთის წისქვილკომბინატი; სამხრეთ ოსეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, „საქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს რაიონული გაერთიანება, წყალტუბოს საქალაქო მეურნეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხურვალედ მიულოცეს რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებს — 1974 წლის ხახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ საქართველოს სსრ შრომითი კოლექტივები უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1975, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს და შემდგომ წლებში. (საინფორმი).

1974 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაფართოებისთვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული არიან

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი;

ქალაქი გაგრა;

რაიონები: ახმეტის, გარდაბნის, დუშეთის, ზუგდიდის, სიღნაღის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ქობულეთის, აგრეთვე მეგობრულობაში — მარნეულისა და გორის, სოლო მეკარტოფილეობაში — ბოლნისის;

ალმაცერა: ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი, სოხუმი, თბილისი, ტყვარჩელი, ჭიათურა;

ქალაქის რაიონები: ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, ქალაქ თბილისის პირველი მაისის, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის, ქალაქ თბილისის კიროვის სახელობის;

რაიონები: ზესტაფონის, კასპის, მარნეულის, მცხეთის, თელავის, ხაშურის;

საწარმოები და ორგანიზაციები: № 2660 ავტოკოლონა (ქალაქი გაგრა), სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო (ქალაქი თელავი), № 12 სავაზოსაექსპლოატაციო უბანი (მანგლისი), მახარაძის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანება, ქალაქ გორის ტროლეიბუსის სამმართველო, თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანება, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, სამტრედიის ხისდამშუშავებელი კომბინატი, თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატი, ზესტაფონის რაიმრეწკომბინატი. წყალტუბოს რაიმრეწკომბინატი, წყალტუბოს ხორცკომბინატი, რუსთავის ხორცკომბინატი, თბილისს შამპანური ღვინოების ქარხანა, თბილისის კონიაკის ქარხანა, დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკა, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, საბურთალო და ასფალტებელი სამუშაოების საწარმოო სამმართველო, კასპის ცემენტის ქარხანა, ქუთაისის კაუჩუკგამოლობის საქალაქო კვანძი, ბათუმის სასწავლო საწარმო; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტი, ტრეს „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა (ქალაქი სამტრედია). „საქკოლმეურნმშენის“ ხობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი, „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის „ტყიბულშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო, „თბილისქალაქმშენის“ № 1 სპეციალიზებული მაღაზია, გაგრის საკულტურო ვაჭრობის მაღაზია „განთიადი“, „რუსთავვაჭრობის“ № 2 მაღაზია, „რუსთავგაზის“ № 1 ტრესტი. „მონტაჟთერმონაწარმის“ თბილისის სპეციალიზებული სამმართველო, ბათუმის ცენტრალური სატრანზიტო ნავთობბაზა. ქობულეთის რაიონის კინოქსელი, ჭიათურის ვეფოლგიურ-სადაზვერვო პარტია, „აჭარმამარაგების“ სარაიონთაშორისო მომარაგების ბაზა. ახმეტის რაიკოოპკავშირის დამამზადებელი კანტორა, მარნეულის რაიკოოპკავშირის შაუმიანის სამომხმარებლო საზოგადოება, ქალაქ თბილისის კოპკავშრობა, ზიდისთავის № 15 სოფლის საშუალო პროფტექნიკუმი, № 1 სტამბა (ქალაქი თბილისი), საქართველოს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, წყალტუბოს რაიონის მუხანის საშუალო სკოლა, ვ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენი. ტრესტ „ინარმშენი“, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. საბჭოთა კავშირის მცირე ქალაქების ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი (ქალაქი თბილისი), საქართველოს კ. მ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

14 თებერვალს დღის განმავლობაში კრემლში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის და საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის ჯ. კალაგენის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ფართოდ გაუზიარეს აზრი ერთმანეთს ევროპის უშიშროების, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის, აგრეთვე ამ დღეებში კვიპროსში შექმნილი ვითარების საკითხებზე.

მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის, კერძოდ, თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საკითხები.

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობის საკითხების განხილვამ ცხადყო, რომ მხარეები ესწრაფვიან გააფართოონ იგი სხვადასხვა დარგში.

მოლაპარაკება, რომელიც საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაგრძელდება. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუნკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ვ. პ. ხუსლოვი; ინგლისის მხრივ — პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მდივანი სერ ჯონ ჰანტი, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის მოადგილე სერ ჯონ კილიკი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ტერენს ჰარვი, პრემიერ-მინისტრის უფროსი თანაშემწე რ. ტ. არმსტრონგი, პრემიერ-მინისტრის პრეს-მდივანი ჯ. ტ. უ. ჰეინცი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკადრი).

ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲕᲡ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲡ

ჩვენ, ოსტატთა საოჯახო კრების მონაწილენი, სვერდლოვსკის ოლქის მეურნეობის ყველა დარგის სამრეწველო საწარმოთა პირველადი საწარმოო ორგოლების ხელმძღვანელთა მრავალთასწლიანი რაზმის წარმომადგენლები დიდი კმაყოფილებით შეეხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „წარმოებაში ოსტატთა როლის ამაღლებისათვის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის საბინისტროს მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში მკაფიოდ და ზუსტად არის განსაზღვრული ოსტატების, როგორც მუშათა უშუალო ხელმძღვანელებისა და მატერიალური წარმოების სფეროში შრომითი პროცესების ორგანიზატორების ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

პარტიასა და მთავრობას არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ოსტატი არის ცენტრალური ფიგურა წარმოებაში, მუშათა აღმზრდელი. ეს ადგილფრთოვანებს ჩვენ. სიამაყით შეგვეძლია ვთქვათ, რომ სვერდლოვსკის ოლქის მშრომელთა მიერ სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის ოთხი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში ოსტატთა დამსახურებაც არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია მთელი რიგი საწარმოების, მათ შორის ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის ოსტატთა დადებითი საქმიანობა. ჩვენ დღენიადაგ ვსწავლობთ და ვიყენებთ მათს გამოცდილებას. ჩვენ ბევრი ოსტატი გვყავს, რომლებიც ინენერა შემოქმედებთან ინიციატივას, უნარიანი ორგანიზატორები და შესანიშნავი აღმზრდელები გახდნენ. საგეგმო დავალებათა შესრულებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს საწარმოო უბნებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ: ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის ოსტატი ნ. თ. კუროჩკინი, ურალის ელექტრო მძიმემანქანათსაშენებელი ქარხნის ოსტატი ა. ი. ვოლაშინი, სვერდლოვსკის ინსტრუმენტული ქარხნის ოსტატი, რუსეთის სფსრ დამსახურებული რაციონალიზატორი ა. პ. სტეფეევი, პერეგოურალსკის ნოვატორუბნის ქარხნის ოსტატი რ. ვ. ვერენცოვი, ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის ოსტატი ვ. ა. კაბლუკოვი, სვერდლოვსკის კალინინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ოსტატი ვ. პ. ტუშენცევი, „სვერდლოვსკმრეწვმშენის“ ტრესტის ოსტატი ვ. თ. ბაკუნოვი, „ურალფეხსაცმლის“ საწარმოო გაერთიანების ოსტატი ლ. მ. სკერეიეკაია. ნიჟნი ტაგილის „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების კომბაინების შემკეთებელი საამქროს ოსტატი ვ. გ. სადოვნიკოვი და ბევრი სხვა. ვერხ-ისეტსკის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის ა. მ. მუხლინინის წინადადებით ოლქში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ოსტატის წოდებისათვის.

ოლქის ოსტატთა უმრავლესობა აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. ისინი მუშაობენ აგიტატორებად, პოლიტინფორმატორებად და პრობაგანდისტებად. ბევრი მათგანი არჩეულია პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტების შემადგენლობაში, ორის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია [illegible] - მიმდინარეობული ქარხნის ოსტატი [illegible] გბირი მ. კ. ფინოგენოვი. შეგვიძლია ამაყოფილებით ვთქვათ, რომ ოსტატები [illegible] საწარმოებში დიდ [illegible] ადგილობრივი [illegible] ოლქის კომიტეტების იქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით ბევრ ქარხანაში შექმნილია და კარგად მუშაობენ ოსტატთა საბჭოები, ისინი ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას. ამ საბჭოების რეკომენდაციები ხელს უწყობს საწარმოო, კადრებისა და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას.

ყურადღებით წავიკითხეთ დადგენილება და გამოვიტანეთ ერთსულოვანი დასკვნა, რომ დადგენილებაში ღრმად არის გაანალიზებული შრომითი კოლექტივების საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო წარმოებაში ოსტატების როლის ამაღლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებები გამოხატავს ჩვენს სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს. ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაზე იქტიური მონაწილეობა მივიღოთ მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკულ განხორციელებაში.

ჩვენ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ საწარმოო ამოცანების გადაჭრებული შესრულებისათვის, საკუთარ უბნებზე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითეულ სამუშაო ადგილას მანქანებისა და მოწყობილობის, რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, წარმოების მოწინავე მეთოდებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის; იქტიურ მონაწილეობას მივიღებთ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და მოწყობილობის მოდერნიზაციაში; გავაძლიერებთ მუშაობის ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ღიზოგვისათვის. ადრევე ვეცდებით ჩვენს საწარმოო კოლექტივებში შექმნილი და შევინარჩუნოთ ამხანაგობისა და შრომის შედეგებისა და ხარისხისათვის თვითეული მუშაკის დიდი პასუხისმგებლობის ვითარება, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მუშთა პროფესიული მომზადების გაუმჯობესებას, მათი ცოდნის ამაღლებას, ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების დაუფლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ახალგაზრდობის აღზრდას, დამრიგებლობის მოძრაობის განვითარებას, მუშათა დასვენების ორგანიზაციას, ყოფაცხოვრების გაუმჯობესებასა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

მადლობას ვუხდით რა კომუნისტურ პარტიას წარმოებაში ოსტატთა როლისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვისათვის, აღვუთქვამთ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ ჩვენს კოლექტივებთან ერთად დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს შეეხვედრით ახალი შრომითი მიღწევებით, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სვერდლოვსკის ოლქის მშრომელებმა შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ერთხმად მიღებულია სვერდლოვსკის ოლქის ოსტატთა 1975 წლის 12 თებერვლის კრებაზე.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკება. სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

ხაკდმსი. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲐᲮᲐᲚ ᲮᲘᲚᲓᲝᲡ!

ᲒᲝᲒᲝᲠᲒ ᲕᲘᲣᲬᲧᲔᲑᲝᲓᲔᲗ, 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲪᲐᲕᲘᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ. ᲐᲛ ᲪᲜᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲐᲚᲬᲠᲤᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲓᲜᲘᲡ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲐᲕᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲨᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ, ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲖᲔ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲐ

ჩვენ, რუსთაველმა მეფოლადეებმა, ისევე როგორც საწარმოს მთელმა მრავალთასიანმა კოლექტივმა, დიდი სიხარულით აღვიქვით ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენი რესპუბლიკა და სხვა საწარმოთა შორის ჩვენი ქარხანაც დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ვამაყობთ დამსახურებული გამარჯვებით.

გამარჯვებისაკენ გზა კი იოლი როდი იყო. შეჯიბრება გავშალეთ დევიზით „მეტი, უკეთესი, ნაკლები დანახარჯებით“. ფართოდ ვიყენებთ შრომის ნოვატორულ მეთოდებს.

„არ შევანელოთ შრომის ტემპი, ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს!“ — ამას მოგვიწოდებს პარტია. ყველა რუსთაველი მეტალურგის სახელით აღვუთქვამ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ პარტიის ყველა წინასწარდასახულობის განსახორციელებლად. მეფოლადის სიტყვა კი, როგორც მეტალურგები ამბობენ, მათ მიერ გამოდნობილ ფოლადზე მტკიცეა.

ვ. მეტრეველი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ 1975 ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

რუსთავი. (საკ. კორ.) დღანი „900“. მეტალურგიული ქარხნის ამაგრეგატზე ბევრჯერ მიეღწევიათ სარეკორდო მაჩვენებლისათვის, მაგრამ 3 თებერვალს მოსხდარმა ამბავმა მოლოდინს გადაეჭარბა. დგანის მომსახურე კოლექტივმა (უფროსი რ. რიფამაძე) 4.300 ტონა სხმული გაგლინა, აქედან 1.264 ტონა ზეგვგმიერია.

ქარხნის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა ვახტზე მდგომ კოლექტივს მიულოცეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება და ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი წარმატებების მოპოვება უსურვეს. სარეკორდო მაჩვენებლების მიღწევაში განსაკუთრებით აღინიშნეს ოსტატების ს. გოგოლაძის, შ. ხაჩიშვილის, უფროსი ოპერატორების ვ. იმნაძის, ა. ჯაჯანიძის, უფროსი მეალეცვების ვ. ნოვიკოვის, ა. ხეიერიანის და სხვების ენერგიული შრომა.

ზ. მერკვილაძე.

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲛᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

დამკვრელური შრომაა გაჩაღებული იქ, სადაც მდინარე ენგური დროებითი სქემის მიხედვით ერისწყლის ხეობაში უნდა გადავიდეს, რომ გალის ხელოვნური „ზღვა“ ასაზრდოოს. ჰიდროშენებლებმა ეს ობიექტი ნომერ პირველ ობიექტად გამოაცხადეს, რადგანაც წლის ბოლოს ვარდნლოჰესები, მდინარე ენგურის მიმატების შემდეგ შეუფერხებლად უნდა ამუშავდეს.

და აი მოპოვებულია კიდევ ერთი გამარჯვება — მდინარე ენგური ახალ კალაპოტში მიედინება. ნაენგურალზე კი დაიწყო ნაყარი კაშხალის მშენებლობა.

ენგური ამ ზამთარშიც წყალუხვია, ამიტომ მის ტალღებთან შეჭიდება არც თუ იოლი იყო, მაგრამ მოწინავე მექანიზატორებმა მოთოკეს იგი, რამდენიმე საათში მდინარე აიძულეს ახალი კალაპოტისათვის მიეშართა.

ენგურის გადაგდების საქმეში თავი გამოიჩინეს მებულდოზერეებმა ვ. ქეცბაიამ, ბ. გამსახურდიამ, ვ. მონიამ, რ. გულუამ, დ. გუჭნიკმა, მ. პისკულინმა, „ბელაზის“ მძღოლებმა გ. კვარაცხელიამ და ს. ქარსელაძემ.

უკვე დაიწყო ნაყარი კაშხალის მშენებლობა და კაშხალ ი ს პ ი რ ა გვერდების საჯირო სამუშაოები. ახლა ნაენგურალზე მოძრაობენ „ბელაზები“, კაშხალზე უნდა დაიყაროს 27 ათასი კუბური მეტრი ქვა-ღორღი.

ლ. ბარძაია.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

სსრ კავშირის მთავრობამ 14 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში სუზმე გამართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ ვილსონის პატივსაცემად.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად იყვნენ საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი, პრემიერ-მინისტრის თანამხლები სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმშიცი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრებს სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო და ქალბატონო ვილსონ!

პატივცემულო ჩვენო სტუმრებო! ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მოგესალმოთ, ბატონო ვილსონ, და გამოვთქვა კმაყოფილება თქვენი ვიზიტის გამო. მოხარული ვართ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა თქვენ და საგარეო საქმეთა მინისტრს კალაგენს გაგიზიაროთ მოსაზრებანი, როგორც საბჭოთა კავშირ-ინგლისს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ისე მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე.

თუ გულახდილად ვიტყვით, აზრთა ასეთი გაზიარება მით უფრო საჭიროა, რომ საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის უკვე საკმაოდ დიდი ხანია არა ყოფილა კონტაქტები მაღალ დონეზე. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება გარკვეულწილად შენელდა ამ ბოლო წლების მანძილზე. ახლა ნუ დავიწყებთ მიზეზების გაანალიზებას, რომლებსაც მოჰყვა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ, ცხადია, დღეს ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო.

ახლა ბევრგან მსოფლიოში წარმოიეს საწინააღმდეგო ტენდენ

საპატიო სტუმრის პატივსაცემად

(დასასრული).

საქმე, რომლითაც, ჩვენი რწმენით, შეიძლება დაიწყოს და კიდევაც დაიწყება ევროპის ცხოვრების ახალი, ნამდვილად მშვიდობიანი და კონსტრუქციული ეპოქა.

ვფიქრობთ, რომ დიდ ბრიტანეთს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სრულიად ევროპის თანამგზის მუშაობის კონსტრუქციული ჯაჭვის უზრუნველყოფაში, საბჭოთა კავშირი ამას მიესალმებოდა.

ყველა სახელმწიფოსა და მისი ხელმძღვანელების წვლილის მნიშვნელობა მტკიცე მშვიდობის მეგზურობის უდიდესი ამოცანების განხორციელებაში, ვფიქრობთ, განისაზღვრება ამ ამოცანების ისტორიული მასშტაბის სწორი შეფასების უნარით. ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უნარს გამოვყოთ მთავარი, რასაც მოელიან და რისი იმედიც აქვთ ხალხებს, ამ მთავარს ჩამოვიცილოთ სხვისაგან მომენტები, რომლებიც წარმოშვა არაშორსმჭვრეტელურმა პოლიტიკურმა მანეერობამ, რათა მოემზადებინათ ესა თუ ის კონუნქტურული უპირატესობანი მოლაპარაკების ზოგი მონაწილისათვის სხვათა საზიანოდ.

ეს შეეხება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებასაც. ზოგიერთი ქვეყნის დაჟინებული ცდები, ისე წაიყვანონ საქმე, რომ მიიღონ ცალმხრივი უპირატესობები, ცდები, „ჯობთ აჯობონ“ მეორე მხარეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სერიოზულად უშლის ხელს ვენის მოლაპარაკების პროგრესს.

მსოფლიოს ხალხები მიელიან, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებამ რაც შეიძლება მალე შეისახოს ზორცი კონკრეტული საქმეებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მილიონობით ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას. ასეთ საქმეებს განეკუთვნება გამალებული შეიარაღების ალაგმვა, სახელმწიფოთა საომარი შზადებისა და მათი სამხედრო ხარჯების მასშტაბის შემცირება, მათი მშვიდობიანი ეკონომიური და სხვა თანამშრომლობის გაფართოება. ეფიქრობ, რომ ახლა, ამ სერიოზული ეკონომიური სიძნელეების პირობებში, რომლებსაც დასავლეთის ბევრი ქვეყანა განიცდის, ამ საქმეში წინსვლა საზოგადოებრიობის აზრით სულ უფრო აუცილებელი ამოცანა ხდება.

კვლავინდებურად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში. მდგომარეობა ამ რაიონში კვლავ ფრიად საშიშია. ომი არც შეიძლება სხვანაირი იყოს, სანამ ორივესრს დაპყრობილი აქვს მიტაცებული სხვისი მიწები, სანამ ფეხქვეშ ითელება ხალხთა უფლებები. ახლო აღმოსავლეთის ხალხებს პაერივით სჭირდებათ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა.

ზოგჯერ გვესმის, სრული მშვიდობიანი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში ძნელად მისაღწევი საქმეა და ამის ნაცვლად, უნდა დაჯერდეთ უახლოეს წლებში ნაწილობრივ შეთანხმებებსო.

რა შეიძლება თქვან ამის-თაობაზე?

რა თქმა უნდა, თავისთავად ასეთი ნაწილობრივი ღონისძიებანი, როგორიც არის, მაღალთად, ოკუპანტთა წასვლა დაპყრობილი არაბული ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილიდან და ამ ტერიტორიის არაბებისათვის დაბრუნება, სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ნაბიჯს უსწრაფესი ნამდვილი მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, და არ იყენებენ ამის საბაბად, რომ გაყინონ მთელი სიტუაცია, გააჯიანურონ მშვიდობიანი მოწესრიგება, შეასუსტონ არაბული ქვეყნების ერთიანობა.

ზოგ ვინმეს, როგორც ჩანს, სურდა არაბი ხალხებისათვის შეეთავაზებინა ძალისმომგვრელი საშუალების მსგავსი რამ იმ იმედით, რომ ისინი დამშვიდდებიან და დაიჯიყენენ სამართლიანობის აღდგენისა და აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციის მოთხოვნებს. მაგრამ ძალისმომგვრელი საშუალება მხოლოდ ცოტა ხნით აბრუებს ადამიანს, რის შემდეგ იგი იღვიძებს, და მის წინაშე დგება იგივე რეალური ცხოვრება თავისი პრობლემებით.

პრაქტიკული გამოცდილება ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად აფასტურებს. ნაწილობრივი ორმხრივი ღონისძიებანი, როგორც ცნობილია, უკვე განუხორციელებია ახლო აღმოსავლეთში. შეანელეს თუ არა მათ დაძაბულობა აქ? სამწუხაროდ, არა. მიანიშეს თუ არა მათ სიმშვიდე ახლო აღმოსავლეთის ხალხებს? არა, არ მიუნიშებიათ. შეამცირეს თუ არა მათ რამდენადმე მაინც დამამძიმებელი და საშიში გამალებული შეიარაღება, რომელშიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არიან ჩაბმული? როგორც ცნობილია, არა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნამდვილ, მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებას ვერაფერი ვერ შეცვლის. და მისი გაჭიანურება შეუწყნარებელია, თუ სრულიად არ უგულებელვყოფთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხთა ბედი (მათ შორის, რა თქმა უნდა, ისრაელისა, რომლის ხალხი საეჭვოა დაინტერესებული იყოს იმით, რომ უსასრულოდ ცხოვრობდეს სამხედრო შანაკად გადაქცეული ქვეყნის პირობებში) და საყოველთაო მშვიდობის ბედი.

ამიტომ საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე განსახილოს მუშაობა ჟენევის საზაო კონფერენციამ. ამ კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, სხვების თანაბარ საწყისებზე უნდა გაისმოდეს პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენელთა ხმაც, რადგან პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია.

როცა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების გზებზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამოცანას: თავიდან ავიცილოთ ქვეყნად ატომური იარაღის შემდგომი გავრცელება, დამაღლოთ ამ საკითხზე საერთაშორისო ხელშეკრულების ქმედითობა, მაქსიმალურად გავაფართოოთ მის მონაწილეთა წრე.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სამყაროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, რომლებიც არ შეიძლება არ აწუხებდეთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს და რომელთა გადასაწყვეტად, უთუოდ, სასარგებლო იქნებოდა ამ სახელმწიფოების, მათ შორის ჩვენ, ერთობლივ ძალისხმევა.

ამიტომ, ამ ფონზე, ჩვენ ორი ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ღონისძიებათა კავშირიანება, ჩვენი თანამშრომლობის გაუმჯობესება საგარეო პოლიტიკურ საქმეებში, კერძოდ, რეგულარული კონსულტაციები სხვადასხვა დონეზე.

არანაკლებ აქტუალური თემაა, ჩვენი აზრით, ეკონომიურ დარგში საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხიც. აქ შეგვიძლია დავეყრდნოთ უკვე შედგენილ კარგ გამოცდილებას. ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდა მრავალი წლის განმავლობაში თანასწორუფლებიანობისა და არცთუ მცირე ურთიერთსარგებლიანობის საწყისებზე. სსრ კავშირში ძალიან ეფასებდნენ ამას — და არა მარტო სამეურნეო მოსაზრებებით. საბჭოთა ადამიანები უცვლელი ამხანაგური და კლასობრივი სოლიდარობის გრძნობით ეკიდებიან ინგლისის მუშათა კლასს. ჩვენს ხალხს ახსოვს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ, უძნელეს წლებში ინგლისის პროლეტარიატმა გაილაშქრა ჩვენი ქვეყნის საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ, გამოაცხადა ლოზუნგი — „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“. საბჭოთა კავშირის მშრომელები მოდამ თანაუგრძნობდნენ დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ბრძოლას თავიანთი უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის. და ჩვენთვის სასიხარულოა იმის შეგნება, რომ, თუ კიდევ უფრო გაფართოვდა საბჭოთა კავშირ-ინგლისის ეკონომიური თანამშრომლობა. ეს ნიშნავს მუშაობის ახალ შესაძლებლობებს თქვენი ქვეყნის ათასობით მუშისათვის, ახალ სტიმულს მისცემს მისი ეკონომიკის განვითარებას.

დადებითად ვიფასებთ რა წარსულის გამოცდილებას, ამავე დროს ვფიქრობთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენი დროის პოლიტიკური კლიმატი და ტექნიკურ-ეკონომიური შესაძლებლობანი ახლა დღის წესრიგში აყენებს ბევრ სამეურნეო სფეროში ჩვენი ქვეყნების უფრო მასშტაბური, უფრო ხანგრძლივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საკითხს.

ასეთი თანამშრომლობის განხორციელება შეიძლებოდა გამხდარიყო ამის კიდევ ერთი მაგალითი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ივსება კონკრეტული მატერიალური შინაარსით, საგრძნობი სარგებლობა მოაქვს მილიონობით ადამიანისათვის.

ამრიგად, ჩვენ არ გვაკლია თემები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან საუბრებისათვის. მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს, და მე მინდა შემოვიფარგლო მოლაპარაკების წარმატებით გაგრძელებისა და ორივე მხარისათვის ნაყოფიერად დამთავრების სადღეგრძელო!

დღეგრძელობას ვუსურვებ პრემიერ-მინისტრსა და ქალბატონ ეიღლსონს, საგარეო საქმეთა მინისტრს კალაგენსა და ყველა ჩვენს ინგლისელ სტუმარს!

წარმატებით განვითარებულიყოს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობა!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობას!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა.

ჰ. ვილსონის სიტყვა

პატივცემულო ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევ, ალექსი ნიკოლოზის-ძევ, ანდრია ანდრიას-ძევ, პატივცემულო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის წევრებო, ჩემი მასპინძლების მეუღლეებო, მეგობრებო!

მეტად მოხარული ვარ, რომ სწორედ 14 თებერვალს ჩამოვწვიეთ სიუზეზე, რომ აღგენიშნოთ ჩემი მეცხრამეტე ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. ზუსტად 12 წლის წინათ, 14 თებერვალს, ამირჩიეს ჩემი პარტიის ლიდერად. მალე ამის შემდეგ თქვენ, გენერალურო მდივანო, აგრეთვე აგირჩიეს თქვენს პოსტზე. 60-იანი წლების დასაწყისი ჭეშმარიტად მოსავლიანი პერიოდი იყო.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელი მოვაწერე თქვენს ქვეყანასთან დიდ ომისშემდგომ საგაჭრო შეთანხმებას, რომელიც მთელი ჩვენი ვაჭრობის საფუძველად რჩება. მას შემდეგ დაგრწმუნდი, თუ რა უდიდესი ცვლილებები მოხდა აქ, მოსკოვში და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონეში.

მოსკოვის საქალაქო საბჭოში ჩემი ყოველი სტუმრობის დროს მიჩვენებდნენ თქვენი ქალაქის ახალი რაიონების მშენებლობის გეგმებს, რომლებსაც ინგლისში ვუწოდებდით მთელ ახალ ქალაქებს. თქვენს ქვეყანაში რომ ჩამოვდიოდი, ყოველთვის ვხედავდი დედაქალაქის გაშენებულ ახალ რაიონებს. საბჭოთა კავშირში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ამ წლების მანძილზე მართლაც უდიდესი ცვლილებები მოხდა. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, როგორც თქვენ, გენერალურო მდივანო, ბრძანეთ, ამ პერიოდში იყო დაქვეითებისა და აღმავლობის პერიოდები. ქმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩემი სახელი არაერთხელ ყოფილა გაიგივებული იმ პერიოდებთან, როცა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გაუმჯობესებულა, უფრო მეტიც, ახალი ხიმაღლეებიწ მიუღწევია. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასე იდგა საქმე იმ ექვსი წლის მანძილზე, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი მეკავა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ვიზიტი ახალი ეტაპი იქნება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, რაც უკვე გუშინ აღენიშნე. თქვენთან ერთად ვესწრაფვით ახალი დასაბამი მივცეთ ამ ურთიერთობის განვითარებას, დავიწყოთ ჩვენს ურთიერთობაში კიდევ უფრო პოზიტიური და აღმშენებლობითი ერა, რომელსაც, მინდა იმედი ვიქონიო, ჩრდილს ვერ მიაყენებს წარსულის წარუმატებლობები. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის ღრმა უთანხმოებები არ იყოს. ჩვენ სულ სხვადასხვა სისტემის ქვეყნის წარმომადგენლები ვართ, სულ სხვადასხვა წარმოდგენა გვაქვს დემოკრატიაზე, რომელსაც თვითეული ჩვენგანი თავისებურად აცხადებს. თვითეული ჩვენგანი თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის უმაღლესი ინტერესების ერთგულია. თვითეულ ჩვენგანს სხვადასხვა შეხედულება აქვს დედამიწის პრობლემებზე. მაგრამ რაკი ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ ამ მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო ვიწროვდება, — მამაცმა საბჭოთა და ამერიკელმა კოსმონავტებმა იმდენად შორეული მოგზაურობები მოაწყეს კოსმოსში, რომ აქედან შეძლეს დაენახათ ჩვენი პლანეტა, როგორც უფრო ვრცელი თანაარსებულობიდის შემადგენელი ნაწილი, — შევიგნეთ, რა უთანხმოებებიც უნდა იყოს ჩვენს შორის, ყველაზე რეალური აზრით, ადამიანთა ერთ მოდგმას ვეკუთვნით. ჩვენი ქვეყნის დიდი სახელმწიფო მოღვაწე კლიმენტ ატლი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, როცა პირველად ჩამოვედი აქ, როგორც ახლაგზრდა ვაჭრობის მინისტრი, მხედველობაში ჰქონდა რა მთელი მსოფლიოს მშვიდობისადმი საფრთხე, რომელსაც ფერმოატომური ომის საშიშროება ქმნიდა, ამბობდა: „თანაარსებობის ერთადერთი ალტერნატივა საერთო დაღუპვაა“.

და კაცობრიობის წინაშე დგას ამოცანა ეძიოს საფუძველი, რომელზეც შეგვლებდით თანაარსებობას.

ჩვენი მოლაპარაკება მიმდინარეობს ისეთი პერიოდში, როცა ყველას შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა საფრთხე შეიძლება მოჰყვეს მთელი კაცობრიობისათვის სამყაროს გათიშვას — ეკონომიურ გათიშვას, სოციალურ გათიშვას, თუ რა საშიშ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას პოლიტიკური გათიშვა, ეპოქაში, როცა სამხედრო ტექნიკის შექმნაში პროგრესი ბევრად უსწრებს ყველა იმ წარმატებას, რომლებსაც მივაღწიეთ მშვიდობის საკითხლდღეგოდ ტექნიკის შექმნაში.

ჩვენ მდიდრებად და ღარიბებად მსოფლიოს ტრაგიკული ეკონომიური გათიშვის მოწმენი ვართ. ამ გათიშვას ახლა დამატებით აღრმავებს ახალი ფაქტორი — მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი. ის ფაქტი, რომ თქვენი ქვეყანა ნავთობის მწარმოებელია, და იმის მტკიცე რწმენა, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში ჩვენ ანალოგიური პოზიციებს მივაღწევთ, არ ათავისუფლებს არცერთ ჩვენს ქვეყანას იმ მოვალეობისაგან, რომ იშრომონ საერთაშორისო ასპარეზზე იმათ დასახმარებლად, ვისაც გასულმა წელმა მეტი სიღატაკე განუშზადა. მაგრამ თუ საფრთხეს იმატა, თუ გაჩნდა შეშფოთების ახალი წყაროები და ახალი მუქარა, ამავე დროს განმტკიცდა ჩვენი იმედიც.

ყველამ ჩვენ ფრანგული ენიდან ვისესხეთ სიტყვა „დეტანტი“, რაც ნიშნავს „შენელებას“. ჩვენ ყველა ვესწრაფვით რეალური აზრი მივანიჭოთ ამ ცნებას. ჯეროვნად ვაფასებთ საბჭოთა კავშირისა და ოკუპანტთა წასვლა დაპყრობილი არაბული ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილიდან და ამ ტერიტორიის არაბებისათვის დაბრუნება, სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ნაბიჯს უსწრაფესი ნამდვილი მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, და არ იყენებენ ამის საბაბად, რომ გაყინონ მთელი სიტუაცია, გააჯიანურონ მშვიდობიანი მოწესრიგება, შეასუსტონ არაბული ქვეყნების ერთიანობა.

ზოგ ვინმეს, როგორც ჩანს, სურდა არაბი ხალხებისათვის შეეთავაზებინა ძალისმომგვრელი საშუალების მსგავსი რამ იმ იმედით, რომ ისინი დამშვიდდებიან და დაიჯიყენენ სამართლიანობის აღდგენისა და აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციის მოთხოვნებს. მაგრამ ძალისმომგვრელი საშუალება მხოლოდ ცოტა ხნით აბრუებს ადამიანს, რის შემდეგ იგი იღვიძებს, და მის წინაშე დგება იგივე რეალური ცხოვრება თავისი პრობლემებით.

პრაქტიკული გამოცდილება ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად აფასტურებს. ნაწილობრივი ორმხრივი ღონისძიებანი, როგორც ცნობილია, უკვე განუხორციელებია ახლო აღმოსავლეთში. შეანელეს თუ არა მათ დაძაბულობა აქ? სამწუხაროდ, არა. მიანიშეს თუ არა მათ სიმშვიდე ახლო აღმოსავლეთის ხალხებს? არა, არ მიუნიშებიათ. შეამცირეს თუ არა მათ რამდენადმე მაინც დამამძიმებელი და საშიში გამალებული შეიარაღება, რომელშიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არიან ჩაბმული? როგორც ცნობილია, არა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნამდვილ, მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებას ვერაფერი ვერ შეცვლის. და მისი გაჭიანურება შეუწყნარებელია, თუ სრულიად არ უგულებელვყოფთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხთა ბედი (მათ შორის, რა თქმა უნდა, ისრაელისა, რომლის ხალხი საეჭვოა დაინტერესებული იყოს იმით, რომ უსასრულოდ ცხოვრობდეს სამხედრო შანაკად გადაქცეული ქვეყნის პირობებში) და საყოველთაო მშვიდობის ბედი.

ამიტომ საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე განსახილოს მუშაობა ჟენევის საზაო კონფერენციამ. ამ კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, სხვების თანაბარ საწყისებზე უნდა გაისმოდეს პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენელთა ხმაც, რადგან პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი.

როცა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების გზებზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამოცანას: თავიდან ავიცილოთ ქვეყნად ატომური იარაღის შემდგომი გავრცელება, დავამყოთ ამ საკითხზე საერთაშორისო ხელშეკრულების ქმედითობა, მაქსიმალურად გავაფართოოთ მის მონაწილეთა წრე.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სამყაროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, რომლებიც არ შეიძლება არ აწუხებდეთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს და რომელთა გადასაწყვეტად, უთუოდ, სასარგებლო იქნებოდა ამ სახელმწიფოების, მათ შორის ჩვენ, ერთობლივ ძალისხმევა.

ამიტომ, ამ ფონზე, ჩვენ ორი ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ღონისძიებათა კავშირიანება, ჩვენი თანამშრომლობის გაუმჯობესება საგარეო პოლიტიკურ საქმეებში, კერძოდ, რეგულარული კონსულტაციები სხვადასხვა დონეზე.

არანაკლებ აქტუალური თემაა, ჩვენი აზრით, ეკონომიურ დარგში საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხიც. აქ შეგვიძლია დავეყრდნოთ უკვე შედგენილ კარგ გამოცდილებას. ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდა მრავალი წლის განმავლობაში თანასწორუფლებიანობისა და არცთუ მცირე ურთიერთსარგებლიანობის საწყისებზე. სსრ კავშირში ძალიან ეფასებდნენ ამას — და არა მარტო სამეურნეო მოსაზრებებით. საბჭოთა ადამიანები უცვლელი ამხანაგური და კლასობრივი სოლიდარობის გრძნობით ეკიდებიან ინგლისის მუშათა კლასს. ჩვენს ხალხს ახსოვს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ, უძნელეს წლებში ინგლისის პროლეტარიატმა გაილაშქრა ჩვენი ქვეყნის საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ, გამოაცხადა ლოზუნგი — „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“. საბჭოთა კავშირის მშრომელები მოდამ თანაუგრძნობდნენ დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ბრძოლას თავიანთი უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის. და ჩვენთვის სასიხარულოა იმის შეგნება, რომ, თუ კიდევ უფრო გაფართოვდა საბჭოთა კავშირ-ინგლისის ეკონომიური თანამშრომლობა. ეს ნიშნავს მუშაობის ახალ შესაძლებლობებს თქვენი ქვეყნის ათასობით მუშისათვის, ახალ სტიმულს მისცემს მისი ეკონომიკის განვითარებას.

დადებითად ვიფასებთ რა წარსულის გამოცდილებას, ამავე დროს ვფიქრობთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენი დროის პოლიტიკური კლიმატი და ტექნიკურ-ეკონომიური შესაძლებლობანი ახლა დღის წესრიგში აყენებს ბევრ სამეურნეო სფეროში ჩვენი ქვეყნების უფრო მასშტაბური, უფრო ხანგრძლივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საკითხს.

ასეთი თანამშრომლობის განხორციელება შეიძლებოდა გამხდარიყო ამის კიდევ ერთი მაგალითი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ივსება კონკრეტული მატერიალური შინაარსით, საგრძნობი სარგებლობა მოაქვს მილიონობით ადამიანისათვის.

ამრიგად, ჩვენ არ გვაკლია თემები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან საუბრებისათვის. მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს, და მე მინდა შემოვიფარგლო მოლაპარაკების წარმატებით გაგრძელებისა და ორივე მხარისათვის ნაყოფიერად დამთავრების სადღეგრძელო!

დღეგრძელობას ვუსურვებ პრემიერ-მინისტრსა და ქალბატონ ეიღლსონს, საგარეო საქმეთა მინისტრს კალაგენსა და ყველა ჩვენს ინგლისელ სტუმარს!

წარმატებით განვითარებულიყოს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობა!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობას!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა.

დაესწრნენ სპექტაკლს

14 თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი, საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი სსრ კავშირის დიდ თეატრში დაესწრნენ პ. ი. ჩაიკოვსკის „ბალეტს „შინელკენჩიკს“.

დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში სტუმრებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუნკოვი, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერ ტერენს ჰარვი.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულდა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

გვირგვინით შეამკეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა, საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა 14 თებერვალს გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

გვირგვინზე წარწერილია „პატივისცემისა და მადლობის ნიშნად საბჭოთა მებრძოლებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებსა და მფრინავებს, რომლებმაც სიცოცხლე შეწირეს ჩვენს საერთო საქმეს მეორე მსოფლიო ომში“.

ჰ. ვილსონმა, დიდი ბრიტანეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა, აგრეთვე საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩმა სერ ტერენს ჰარვიმ წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა მეომრების სხვენას.

(საკდესი).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

13 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პარტიულ და მეცნიერ მუშაკთა ჯგუფების ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობდნენ სიმპოზიუმში „კომუნისტური პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები“.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორმა მ. ტ. იოკრუკმა ილაპარაკა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგების შესახებ. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ბეიდამ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ე. ფენნმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სოციალური მართვის აკადემიის პროპაგანდის თეორიის ჯგუფის ხელმძღვანელმა რ. რაჩკევმა მიიღეს შეფასება მისეცის სიმპოზიუმის მუშაობას, აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობისათვის თანამედროვე პირობებში, მაღლობა გადაუხადეს სიმპოზიუმის ორგანიზატორებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები გ. ლ. სმირნოვი, ო. ბ. რახმანინი, ვ. ა. მედვედევი, ნ. თ. კუზმინი.

ბოგიერლებს ეპარვოთ, ჩვენო ხალხო, ახალ ჯილდოს!

რუბრიკა მიუძღვნიდით, 1974 წლის ხახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოპოვებისათვის ბ ი ს ხაკართველოს სსრ რესპუბლიკა დაჯილდოებულია გარდამავალი წითელი დროშით. ამ ცნობას ჩვენი მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

დღეს ჩვენ ვეკითხებით რედაქციაში გუშინ მიღებულ მილოცვებს ჩვენი გამრჯე ხალხის, ხუთწლედის გმირი კაცებისა მივმართ.

მარჯვენა დაგვლოცოთ!

ბისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ბგონაია. შარშანდელი წლის გამარჯვებულ გზებს ჩამოვ გავუტრიბთ, ახლა თითქოს ადვილად მოჩანს ყველაფერი, მაგრამ ხანაც ეს მოხდებოდა, რამდენი უძილო ღამე და ფიქრი იყო საჭირო, რომ რესპუბლიკას პირნათლად შეეხედა ქვეყნისათვის, რა დიდი და ჩაუქრობელი სიყვარულით უნდა ეოფილიყო სავსე გული, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთ გამარჯვებამდე მიგვეყვანა.

თვალდად არ მშორდება გახურებულ, გაელვარებულ ქურანთან მდგარი კოტე ილურიძე, რომელიც უზარმაზარ რკინის ზოდებს სჭილდავ ქვასავით სწვეს ხელ ზინდანზე თავის სურვილისამერ ატრიალებს და აძლევს იმ სახეს, რომელიც სახალხო მეურნეობას სჭირდება. მისი შრომით დალურული სახე ხომ სიმბოლოა ჩვენი გამრჯე და პატიოსანი მუშისა.

ან 312.000 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა და ქვეყნის სალაროში შეტანა ოილი საქმეა?! არ არის ოილი, ძალიან ძნელია, მაგრამ ეჰ, სადაც ქვეყნის ინტერესი, შრომელი მამულიშვილის მარჯვენას ეს სიძნელე არად მიაჩნია.

არც ურწყავებშია ოილი, დაახვავო შინელის კურკის სიმსხო პურის მარცვლის მოები, მაგრამ ასეთი მოებიც დადგა, დადგა სწორედ მადლიანი მარჯვენის, შრომის, სინდისიხა და თავისი ქვეყნის სიყვარულით სავსე გულით. ავავო მარანში ქვევრი, საწყობში ხილის მადლიც დატვირთლდა.

ბევრია გასახარელი, მისალოცი, არც კი იცი, ვისკენ გაიხედო, ვის უთხრა გამარჯვება პირველად, ვის ჩამოართვა ხელი, ვის მიულოცო... ამიტომ მე მთელ ჩვენს ხალხს ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას!

ნიკო კეცხოველი,
აკადემიკოსი.

მოგილოცავთ, ხუთწლედის გმირო!

ჩვენმა რესპუბლიკამ, ჩვენმა შრომელმა ხალხმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა, სახალხო მეურნეობის მუშაკებმა ახალი გამარჯვებით გაგვახარეს.

ეს დღე ზეიმატება მოპოვებულია თავდადებული შრომით.

გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკა, ... ყველას სიამაყითა და სახარულით გვავსებს.

დიდი ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ახალი სიმაღლისაკენ გვიხმობს, რათა უფრო მაღლა ავწიოთ სრულიად საკავშირო, საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ძალლონე არ დავიშუროთ ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად.

ქართველი მწერლები ვეცდებით ალალ სტრიქონებში ავსახოთ ჩვენი თანამედროვე — ხუთწლედის გმირი.

მოგილოცავ, ჩემო ხალხო, ახალ ჯილდოს, ახალ ზეიმს, მოგილოცავ... კვლავ გვენახოს დროშა შენი უფრო ზეციერ!...

**იოსებ ონთეშვილ

ამბები • ფაქტები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ვაშინგტონი

თურქეთის ნოტა სამხედრო დახმარების შეწყვეტის გამო

ათენი

სამხედრო რეჟიმის ყოფილ დამჭაშვებს საკადრისი მიეზღოთ

ᲓᲦᲔᲡ

ამერიკა — თურქეთი:

ურთიერთობა მწვავდება

ვაშინგტონი, 14 თებერვალი. (საკადესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღო თურქეთის მთავრობის მეორე ნოტა მას შემდეგ, რაც 5 თებერვალს სამხედრო დახმარება შეუწყვიტა თურქეთს. მან უარი თქვა განემარტა ამ ნოტის შინაარსი, შემოიფარგლა მხოლოდ განცხადებით იმის შესახებ, რომ თურქეთის მთავრობის ნოტას „ამჟამად სწავლობენ“.

თურქეთის მთავრობამ ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი განაცხადა: რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ცალმხრივმა გადაწყვეტილებამ თურქეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევის ემბარგოს შესახებ დაარღვია თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა, თურქეთი იძულებულია გადასინჯოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობის ყველა დეტალი და შეუსაბამოს ისინი თავის ეროვნულ ინტერესებს. კონგრესის ამ ნაბიჯის შემდეგ თურქეთს ავტომატურად ეიკუნება თავისუფლება გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ანკარა, 13 თებერვალი. (საკადესი). პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ს. ირმაკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თურქეთის თავდაცვისუნარიანობა არ შესუსტდება ამერიკის სამხედრო დახმარების შეწყვეტის შემდეგ. ჩვენ საჭირო იარაღს მივიღებთ. უფრო ადრე ყოველთა იარაღს ვთხოვთ ნატოს ქვეყნებს. თუკი შეუძლებელი იქნება იარაღის მიღება ამ ქვეყნებში, მას იქ მივიღებთ, სადაც შევძლებთ.

თურქეთის პრესას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გადაწყვეტილება მიაჩნია იმის ცდად, რომ ზეგავლენა მოახდინოს თურქეთზე, და წერს, რომ იგი ეხება თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის ყველა ასპექტს.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

კოპენჰაგენი, 14 თებერვალი. (საკადესი). აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა დანიის ახალი მთავრობა. მას მეთაურობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ა. იორგენსენი. კაბინეტში შევიდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა კ. ბ. ანდერსენმა, ეკონომიკის მინისტრისა — პერ ჰეკერუკმა, ფინანსთა მინისტრისა — კნუდ პეინესენმა. თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრის პორტფელი მიიღო ორლა მელევმა.

დანიის ახალი მთავრობა უმცირესობის მთავრობაა ფოლკეტინგში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 179-დან 53 დეპუტატის ადგილი აქვს.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲒᲘᲗ

სანა, 14 თებერვალი. (საკადესის კორ.). საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აგებული პოდეიდის ნავსადგურს სამართლიანად უწოდებენ იემენის მთავარ საზღვაო ჭიშკარს.

სანავსადგურო ნაგებობათა გაფართოების სამუშაოების დაწყების გამო აქ გაიმართა საზეიმო ცერემონია. იემენის არაბთა რესპუბლიკის სარდლობის საბჭოს თავმჯდომარემ იბრაჰიმ ელ-ჰამდმ, რომელიც გამოვიდა შეკრებილთა წინაშე, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მეგობრულ დახმარებას და მადლობა უძღვნა საბჭოთა და ერაყელ სპეციალისტებს.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲘᲒᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ბაღდადი, 14 თებერვალი. (საკადესი). ერთიორად და მეტად გაიზრდება ახიგნებანი ერაყის მრეწველობის განვითარებისათვის ახალ საფინანსო წელს, რომელიც 1 აპრილს იწყება. ახიგნებანი შეადგენს 668 მილიონ დინარს გასული წლის 300 მილიონ დინართან შედარებით. ერაყის რესპუბლიკის მთავრობა მთავარ ყურადღებას უთმობს ახეთ საწარმოთა მშენებლობას, როგორიცაა ცემენტის ქარხნები, ნავთობქიმიური კომპლექსები, ალუმინისა და მეტალურგიული ქარხნები და სხვ.

„ᲡᲝᲘᲣᲖᲒ-ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘ“

მზადება გრძელდება

ნიუ-იორკი. (საკადესის კორ.). კანაველალის კონცხზე (ფლორიდის შტატი) ჯ. კენედის სახელობის კოსმოსური ფრენის ცენტრსა და პიუსტონის (ტეხასის შტატი) ლ. ჯონსონის სახელობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტები და კოსმონავტები განაგრძობენ მზადებას „სოიუზ-აპოლონის“ პროექტით ერთობლივი ექსპერიმენტისათვის, რომელიც უნდა მოეწყოს მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში. ორი დღის განმავლობაში საბჭოთა კოსმონავტებმა ჯგუფი ავიაციის გენერალ-მაიორის ვ. ა. შატალოვის მეთაურობით ეცნობოდა „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდის გაშვების სისტემასა და გახაშვები კომპლექსის მოწყობილობას.

პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ა. ა. ლეონოვმა საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფის სახელით მადლობა გადაუხადა ამერიკელ სპეციალისტებს, რომლებიც მომავალ ერთობლივ ექსპერიმენტს ამზადებენ.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ ამერიკელი კოსმონავტები, რომლებმაც გამოთქვეს რწმენა, რომ წარმატებით გაგრძელდება შემდგომი მუშაობა ერთობლივი ექსპერიმენტისათვის მოსამზადებლად და „სოიუზ-აპოლონის“ პროექტით ფრენა გათვალისწინებულ ვადებში მოეწყობა. ამას მოწმობს ის ენთუზიაზმი, რომლითაც მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე ორივე ქვეყანაში, აღნიშნეს მათ.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზისა“ და ამერიკის კოსმოსური ხომალდის „აპოლონის“ ეკიპაჟების მომზადების საბოლოო ერთობლივი სამუშაოები მოეწყობა მოგვიანებით საბჭოთა კავშირში ბაიკონურის კოსმოდრომზე და ი. ბ. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მოსამზადებელ ცენტრში.

სურათზე: საბჭოთა კოსმონავტები ვ. ა. შატალოვი, ვ. ნ. კუბასოვი და ა. ა. ლეონოვი პიუსტონის კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრში. საკადესის ფოტო.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲕᲐ ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲨᲘ

ტანანარივე, 14 თებერვალი. (საკადესი). ანტანამორის ბანაკში მემარჯვენე ოფიცერთა ჯგუფის განადგურების შემდეგ მდგომარეობა მადაგასკარში კვლავ დაძაბულია. გაწყვეტილია სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი გარე სამყაროსთან, დაიხურა აეროპორტები, კვლავ მოქმედებს საალყო წესები და კომენდანტის საათი.

მიღებული ცნობების თანახმად, ქვეყანაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მემარჯვენე ოფიცრების შეთქმულებაში მონაწილეობდა მალაგასის სოციალისტური პარტია. პარტიის შტაბ-ბინაში, რომელიც ხელთ იგდეს მთავრობის ჯარებმა, აღმოჩნდა იარაღი და ტყვია-წამალი.

სამხედრო დირექტორიამ დროებით აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის საქმიანობა ქვეყანაში.

ᲙᲚᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲖ ᲙᲠᲔᲑᲐ

დიქტატორული რეჟიმის კრიზისი

ნიუ-იორკი. ესპანეთში ვითარების გამწვავების გამო გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ წერს: „ესპანეთში, სადაც გაუარესებული პოლიტიკური ვითარება დიქტატორული რეჟიმის კრიზისს მოასწავებს, იგრძნობა ქარიშხლის მოახლოება. ამმოხების სულისკვეთებით განიმსჭვალა თვით რეჟიმის საფუძველი. მთავრობის მოხელენი სხვადასხვა სამინისტროში, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროში, გაიფიცნენ. ამ სამინისტროთა 500 მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოსამსახურე მთავრობისადმი წერილში მოითხოვს, რომ შეიქმნას უფრო დემოკრატიული სახელმწიფო ყველა მოქალაქის მონაწილეობით, დაუყოვნებლივ დაუწესდეს კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებას. წერილს ხელი მოაწერეს დიპლომატებმა, ეკონომისტებმა, მთავრობის ინსპექტორებმა და სხვა კატეგორიათა სახელმწიფო მოსამსახურეებმა“.

ხელისუფალნი კიცხავენ სამოვდელოებას იმის გამო, რომ მოვდლები ქადაგებისას მხარს უჭერენ გაფიცულ მუშებს, წერს შემდეგ გაზეთი. ამა წლის პირველი იანვრიდან ნაკარის პროვინციის 34 ოვთის მსახურს 3.965.000 პესეტი (70.800 დოლარი) ჯარმა გადაახდევინეს.

„მთავრობა მკაცრ ღონისძიებებს მიმართავს ესპანეთში გავრცელებული გაფიცვებისა და პროტესტების წინააღმდეგ, — იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთო მადრიდელი კორესპონდენტი არტუგ ჰერმანნ. — სასწავლო წლის დამლევამდე დაიხურა ვალიადოლიდის უნივერსიტეტი, რომელიც პოლიტიკური პროტესტებისა და დემონსტრაციების წყარო იყო. სტუდენტებთან პოლიციის შეტაკების შემდეგ ბევრი იყო დაშავებული და დაპატიმრებული. უკანასკნელი კვირეების მანძილზე ქარხნებსა და უნივერსიტეტებში დაწყებულ გაფიცვებს შეუერთდნენ სახელმწიფო მოსამსახურენი და სხვა ჯგუფები, რომლებმაც მოითხოვეს, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ქვეყნის დემოკრატიზაცია“. (საკადესი. 14 თებერვალი).

ᲩᲘᲚᲔ

მონოპოლიების საამეგლად

ჩილეს სამხედრო ფაშისტური რეჟიმი უცხოეთის მონოპოლიებს გადასცემს ეკონომიკის ძირითად დარგებს. გადაწყვეტილია მათ კონტროლს დაუქვემდებარონ ქვეყნის მთავარი ხიდდრე — ჩილეს სპილენძი.

როგორც სანტიაგოს ჟურნალი „ერისნია“ იუწყება, უცხოეთის 21 კომპანია აპირებს ჩილეს სპილენძის მრეწველობაში დაბანდოს დიდი თანხა — 2,5-2,6 მილიარდი დოლარი, რომლის მეტი ნაწილი ამერიკელ ინვესტორებს ეკუთვნით. ეს კომპანიები არა მარტო თვითონთ კოსტროლს დაუქვემდებარებენ ქვეყნის ეკონომიკას, არამედ აგრეთვე გაფლენას მოახდენენ მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

გარდა ამისა, ზემოხსენებული ჟურნალის მონაცემებით, ჩილეს ეკონომიკის სხვა დარგებში ამერიკის, დასავლეთ გერმანიის, იაპონიისა და კანადის მონოპოლიები დაბანდებენ 260 მილიონ დოლარს. მათ კონტროლს დაუქვემდებარდება ისეთი საწარმოები, როგორიცაა „მანესა“, რომელიც ავტოსაბურავებს აწარმოებს, „ინფორსა“, რომელიც ქაღალდს აწარმოებს, ნავთობქიმიური კომპლექსი „პეტროკიმია“ და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

გაზეთი „მერკურიო“, რომელიც არსებითად ხუნტის ოფიციოზია, წერს, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება მისცეს ხუნტას 20 მილიონი დოლარი გრძელვადიანი კრედიტი მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტისათვის. ამ ბანკმა უკვე გაუწია დახმარება ლატიფუნდისტებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მხედრიონთან სახალხო ერთიანობის მთავრობის დამხობისა და ქვეყანაში ტერორის გაჩაღების საქმეში.

მანამდე უცხოეთის ბანკებმა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა უკვე მისცეს ახლანდელ რეჟიმს სხვა დიდი სესხები და კრედიტები. მაგრამ, როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავს, ისინი ვერ გამოიყენენ ჩილეს ეკონომიკას ქაოსური მდგომარეობიდან, რომელშიც იგი მოექცა პინოჩეტისა და მისი დამჭაშვების დამღუპველი პოლიტიკის შედეგად. (საკადესი).

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

სარწმუნო სტუმარ-მასპინძლობა. გ. ლომიძის ნახატი.

ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑᲘ, ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲒᲕᲘᲗᲘᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲐᲡᲙᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲕᲔᲪᲜᲝᲗ ᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲓᲔ ᲐᲠᲐᲜᲔᲒᲘᲡ

მადრიდიდან წერილი მოვიდა.

„თქვენ გწერთ ბასკთა ქვეყნის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე. მოსკოველმა მეგობრებმა თქვენი მუშაობის ამგვარი გამაკვირვა, ბასკთა და ქართველთა კავშირისათვის რომ გაგიწევიათ. ეს პრობლემა ძლიერ მაინტერესებს. გთხოვთ გამოგიგზავნოთ თქვენი ფიზნი. ძალიან დამაკმაყოფილებთ და ჩვენის მხრით მზად ვარ გამოგიგზავნოთ თქვენთვის საინტერესო ლიტერატურა.

პატივისცემით მანუელ დე არანეგი“.

ასე დაიწყო ჩვენი მიწერ-მოწერა.

ყველაფრით ჩანდა, რომ ჩემი კორესპონდენტი ახალგაზრდა კაცი არ უნდა ყოფილიყო. მით უფრო მოინადირა ჩემი გული თავისი გაწერაზვით, რომ შეესწავლა რუსული ენა, რათა რუსი მკვლევარების ნაშრომები დედანში წაეკითხა. მანუელ დე არანეგი სიტყვას ქარს არ გაატანდა. ყოველ მომდევნო წერილში მისი სიტყვა წინანდელზე დამკვიდრებული იყო, მართლწერა — უფრო გამართული. მალე ჩემმა ახალმა ნაცნობმა თავისი შრომისმოყვარეობით კიდევ უფრო გამაოცა. ქართული ენის გრამატიკა გამომიგზავნეთ და ქართულ-ესპანურ ლექსიკონსაც მთხოვდა. „ჩემი ოცნებაა საქართველოში ჩასვლა და ამ მიზნით მინდა ოდნავ მაინც დავეუფლო ქართულ ენასო“, — მწერდა. თბილისელი მეგობრების შემწეობით მოკლე ხანში შეგასრულე ესპანელი ნაცნობის სურვილი. წიგნები რომ ფოსტაზე მივიტანე, ცხადია, აზრადაც არ მოსვლია, თუ რა შედეგებს გამოიღებდა მომავალში ამ ამბანათის გაგზავნა.

აღმოჩნდა, რომ დოქტორი მანუელ დე არანეგი — კორტესების დეპუტატიც ყოფილა, ესპანეთში ცხონილი თავისი ინტერესითა და სიმპათიებით საბჭოთა კავშირისადმი, და როგორც საპარლამენტოთაშორისო კავშირის წევრს, მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის გამართულ ჰელსინკის თათბირის მომზადებაში.

„ძლიერ მოხარული გატყობინებთ, რომ წიგნები მივიღე, დიდი ინტერესითაც გადავათვალიერე. დაეწერე სტატია გაზეთ „ნორტე ექსპრესისათვის“. სტატიის ფოტოპირს გიგზავნით“.

სტატიის სახელწოდებაა: „აქვთ თუ არა საერთო წარმოშობა ბასკურ და ქართულ ენებს?“ ეს მარტო საბჭოთა მეცნიერების შრომების ანალიზი რადა. ბევრია თვით ავტორის საინტერესო დაკვირვება, რაც მისი ცოდნის სერიოზულობაზე მეტყველებს.

დოქტორი მანუელ დე არანეგი ორი ენის სტრუქტურულ სიახლოვეზე ლაპარაკობს და ზოგიერთ ლექსიკურ პარალელსაც იმოწმებს, ამასთან წერს: „არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ ფაქტმა, რომ მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა, ან პირიქით! მაგალითად: ერისთავი, ლოლუა, ნოდია, აგრეთვე მრავალრიცხოვანი გვარი, რომელთა დაბოლოებაა „ური“: ხუბულური, ინაური, ოჩიაური, წიკალაური და სხვ. (ბასკურ გვარებში „ური“ მიუთითებს მფლობელის კავშირზე გარკვეული ადგილისადმი, და რამდენადაც სამოსახლოები ბუნებრივად იქმნებოდნენ მდინარეთა სანაპიროებთან, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ „ური“ შედის ისეთი სიტყვების შემადგენლობაში, როგორც არის „წყარო“, „მდინარეა“, როგორც ქართული სიტყვა „ცურეა“).

დიდ ინტერესს იწვევენ ტოპონიმიკის მონაცემები. ქართული დაბა სოფლების სახელწოდებანი გალი, ლენტეხი, ხაშური, ბორი, მესტია და ბევრი სხვა თითქოს ბასკეთის რუკიდან აუღიათო, ან პირიქით, ქართულიდან ბასკურში გადაუტანიათო... არც ქართულ ენაშია და არც ბასკურში რბილი ბგერა, „ფ“ ხოლო ქართული ანბანის ზოგიერთი ასო-ბგერა, რაც სხვა ენებზე ორი ასოთი აღინიშნება ხოლმე, მაგალითად „ჯ“ და „ძ“ სავსებით შეეფერება ბასკურ ენას. ძალაუნებურად დაგებადება კითხვა: უძველესი კულტურისა და დამწერლობის ორიგინალური ქვეყნიდან —საქართველოდან ხომ არ წამოუღიათ ბასკებს, ძველ იბერებს, ჯერაც გაუშიფრავი დამწერლობა?“

ავტორი წერს ქართველ და ბასკ მეცნიერთა მომავალი თანამშრომლობის და წარმატების მომხიბლავ პერსპექტივაზე. „ეს უზარმაზარი ინტერესის შემცველი მუშაობაა, რაც უდავოდ გაგრძელების ღირსია“, — წერდა ის.

... მალე მანუელ დე არანეგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. უკვე საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად. ნანობდა, რომ დროის უქონლობის გამო ამჟამად არ შეეძლო საქართველოში ჩამოსვლა. „ქართული ენის“ ესპანურად თარგმნა მინდაო. დაგვპირდა, კონფერენციას მოგაწყობო თემაზე „ბასკები და იბერები“, მასალებს გამოგიგზავნითო.

იმავე დღეებში მანუელ დე არანეგი მიიღო საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ხ. ხასრიდინოვამ. ესპანელ მეცნიერს მან აჩუქა წიგნები საქართველოს ისტორიაზე და ქართული ხელოვნების ისტორიაზე, მათ შორის ზოთა ძიძიგურის რუსულად გამოცემული წიგნი. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემმა პირველელმა მეგობარმა შეგატყობინა, უკვე დავასრულეო ზოთა ძიძიგურის წიგნის „ქართული ენის“ თარგმნა და მალე კიდევაც გამოგაო.

შემდეგ მოვიდა წერილი და მასთან მოსაწვევიც. მიწვევდნენ კონფერენციაზე „იბერები და ბასკები“. ამ ბილეთზე იყო გამოსახულება, რაზედაც მრავალი წელი ვნადირობდი: სახელგანთქმული „იბერიული ფირფიტა“, რომლის გაშიფრვას ამაოდ ცდილობდა მრავალი სწავლული, მათ შორის „სამეფო ფურისულას“, ამ რომანის ერთ-ერთი გმირი, ინგლისელი პროფესორი ჯეკობ ჰარისონი. მასაც ჰყავდა პროტეგი, ისევ ინგლისელი, რომელმაც მეოთხედი საუკუნე შესწირა ამ ტექსტის ამოკითხვის ამაო ცდას, ბოლოს კი, ერთ სულაც არა მშვენიერ დღეს, მეგობრები და უახლოესი კოლეგები მოიწვია, თავისი მარცხის ამბავი მოუთხრო, ცილინდრი დაიხურა, ბოდიში მოიხადა, „ცოტა ხნით გაგიცდებითო, მეზობელ ოთახში გადავიდა და შუბლში ტყვია იკრა.

ეს მოხდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ელექტროგადამთვლელ მანქანებს და საერთოდ საიდუმლოებით მოცული ტექსტების წაკითხვის თანამედროვე მეთოდებს შე გადავიდე ტექსტი. ჩვენს თვალწინ რომ ბერიული წერილია, ეს საეჭვო არ არის. მაგრამ შეიძლება თუ არა იმისი დამტკიცება, რომ ეს ენა ბასკური ენის წინამორბედი იყო?

ოდესღაც ამ ფინების ამბავი მამამ მითხრა.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲝᲑᲐᲜᲘ?

ბასკმბი ჩვენს სახლში მრავალი წლის წინ შემოვიდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მამაჩემი, დემობილიზებული წითელი მეთაური, სამუშაოდ ირანში გაგზავნეს. იქ (ზუსტად არ ვიცი, რა ვითარებაში) მამა შეხვდა საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელს, ჩამომავალობით ბასკს, რომელსაც ქართული გვარი ჰქონდა. მამამ რამდენიმე ენა იცოდა. ამან უთუოდ ხელი შეუწყო სწრაფად გაცნობა-დაახლოებას. აღმოჩნდა, რომ ზოგი მეცნიერის აზრით ბასკთა თვით სახელწოდება — „ეუსკალდუნ“, რასაც თვითონ ეძახიან თავს, წარმოდგება სიტყვებისაგან „ეგუსკი“ — მზე და „ალდუნ“ — გზაგნილი, დასპანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირენეების (პირინეტის) მთების ახლანდელი მკვიდრნი ზამოსულან მზის მხარეს მდებარე ქვეყნიდან, ე. ი. აღმოსავლეთიდან. მაშინ მამამ გაიხსენა ყველასათვის ცნობილი ქართული წერილობითი ძეგლის სიტყვები: განათლებულ ბერს იოანე მთაწმიდელს, რომელიც XI საუკუნეში ცხოვრობდა, შვილი და მოწაფეები წაუყვანია, გზას გასდგომია და ჭასული შორეულ ესპანეთში, რადგან სწამდა, რომ იქ, ჩრდილოეთ მხარეში, ქართველთა მონათესავე ხალხი ცხოვრობს.

ასე გაჩნდა მამის ხელნაწერებში „ლეჯი რეული“, რომელშიაც შეჰქონდა ცნობები ბასკებზე. რამდენიმე გვერდი ეჭირა საერთო ან მსგავსი სიტყვების სიას (ჩვენს დროსა, როგორც წერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამდგილი წევრი შოთა ძიძიგური, ალრიცხულია არა ერთი და ორი გრამატიკული თუ ლექსიკური მსგავსება). სხვა გვერდებზე ეწერა ძველი დროის იმ სწავლულთა გამონათქვამები, რომელნიც ლამობდნენ პასუხის პოვნას კითხვაზე: რატომ აქვს ერთნაირი სახელი — იბერია — ორ სხვადასხვა ქვეყანას, რომელნიც მდებარეობენ ალე მორი შორს: ერთი კავკასიაში, მეორე კი კარპატებისა და ალპების მიღმა, სადღაც პირენეის მთებში? ამ მხრივ გამოძახილს ვპოულობთ ფრანგი მეცნიერის ა. ბოდრიმონის შრომებშიც. თავის წიგნში „ბასკების ისტორია“, რომელიც პარიზში გამოვიდა 110 წლის წინათ, წერდა, რომ იბერები (ბასკთა წინაპრები) პირენეის ნახევარკუნძულზე მივიდნენ კავკასიის იბერიიდან და თავიანთ ქვეყანას მისცეს იმ ქვეყნის სახელი, საიდანაც მოვიდნენ.

ოცდაათიან წლებში მამა რამდენიმე წლით თბილისიდან ბაქოში გადაიყვანეს. იქ დავკარგე კიდეც. მაგრამ აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ბედმა შემახვედრა ადამიანთან, რომელიც შეუცნობლად მაიძულებდა გამეგრძელებინა ის საქმე, რაც ოდესღაც თავისი საკუთარი სიამოვნებისათვის, ცნობისმოყვარეობის კარნახით თავს იდო მამაჩემმა. მასწავლებელს ერქვა აკრემ ჯაფარი, ლინგვისტი გახლდათ (ამჟამად მეცნიერებათა დოქტორია). მისგან პირველად გავიგე, თუ რას წერდა „პირენეისა და კავკასიის ბასკებზე“ აკადემიკოსი ნიკო მარი: ოდესღაც უშუალო ურთიერთობაში ყოფილანო, ერთი და იმავე იაფეტური ხალხის ნაწილი, არა მარტო გვარ-ტომისა; მოკლედ, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენო, ოღონდ სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ყოფილიყო კავკასია ან პირენეები. ამ საერთო სამყოფელის პრობლემა გადაუწყვეტელია, ჩვენი მტკიცება კი მზა მეცნიერული დებულებაა.

როგორც მასწავლებელმა, აკრემ ჯაფარმა გაკაკეთა ყველაფერი, რათა გაეღვიძებინა ინტერესი ბასკეთისადმი, მათი ენისა და ისტორიისადმი (იმ ხანებში მე და დედა ხელმოკლედ ვცხოვრობდით და მე, ქართველი, ცხადია, არასდეს დავივიწყებ, რომ ჰუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებისათვის დაწესებული ერთადერთი სტალინური სტიპენდია უნივერსიტეტმა მე დამინიჭა). აკრემ ჯაფარი აქტიური მომხრე იყო იმ ვერსიისა, რაც უძველეს ქართველთა დასავლეთში გადასახლებას ამტკიცებს. მისი ფარაუდით, ასეთი გადასახლების საბაბი უნდა გამხდარიყო რაღაც სტიქიური უბედურება (როგორც ცნობილია, კავკასია უძველესი დროიდანვე მიწისძვრის ერთ-ერთი მსოფლიო კერა იყო). ოიუეფ რიემი, ავტორი კაპიტალური შრომისა „დედამიწის კატასტროფები თქმულებებსა და მეცნიერებაში“, მოგვითხრობს ბასკონიაში კარგად ცნობილ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ძველი სამყარო განადგურდა „ცეცხლის, მიწისა და წყლის გიგანტური ბრძოლის ჟამს“. ეს შეჯახება იმდენად საზარელი ყოფილა, რომ ლეგენდის გმირს, რომელიც იმ დროს მწვერვალზე ადმოჩნდა, ელდისაგან მშობლიური ენა დაავიწყდა. რაღაც ცალკეული

(დასასრული მე-4 გვ.).

ᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲑᲡ

ათენი. 14 თებერვალი. (საკადესი). საბერძნეთის სასამართლო ხელისუფლებამ გასცეს ორდერები კიდევ ორი ყოფილი მოხელის დაპატიმრებისათვის, რომლებსაც პასუხსაგები სახელმწიფო პოსტები ეკავათ სამხედრო რეჟიმის პერიოდში.

უნდა დაეპატიმრონ პავლოს ტოტომისი — საზოგადოებრივი წესრიგის ყოფილი მინისტრი სამხედრო ხუნტის პირველ მთავრობაში, შემდეგ კი საბერძნეთის სამრეწველო განვითარების ბანკის მმართველი. პ. ტოტომისს ბრალად ედება ქვეყნის ფინანსური სახსრების ბოროტად გამოყენება, იუწყება საბერძნეთის პრესა.

მეორეა ყოფილი სახელმწიფო მდივანი, სამხედრო ხუნტის გაგლენიანი წევრი პოლკოვნიკი ანტონიოს ლეკასი. მას ბრალად ედება სახელმწიფოს ღალატი და სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა.

დღეისათვის საბერძნეთის ხელისუფლებამ 1967 წლის შეთქმულებისა და შეიარაღებული ამბოხების გამოძიების ფარგლებში უკვე დაეპატიმრეს თორმეტი ოფიცერი. გარდა ამისა, მთავრობამ ქვეყნიდან გასცა აუკრძალა 120 პირს, რომლებიც მონაწილეობდნენ საბერძნეთში სამხედრო რეჟიმის დამყარებაში.

ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ — ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲯᲔᲚᲗᲐ ᲡᲙᲐᲛᲖᲔ

- ᲕᲘᲜ ᲐᲤᲐᲠᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲜᲐᲪᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲡ?
- ᲯᲐᲚᲐᲗᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ.
- ᲨᲔᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ.

ვიდან აეცილებინათ უკვე დიდი ხანია დამსახურებული სასჯელი?

საქმე ის არის, რომ ადენაუერის, ერჰარდისა და კიზინგერის მთავრობები, რომლებსაც ოცი წლის მანძილზე ხელთ ეპყრათ ძალაუფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფაშისტ დამნაშავეთა დასჯის საკითხში ადგენენ პოლიტიკას, რომელიც ფაქტიურად მიზნად ისახავდა ამ დამნაშავეთა დაცვას სამართლიანი სასჯელისაგან. და განა შეიძლებოდა სხვაგვარად ემოქმედათ მათ, როცა მრავალი წლის განმავლობაში ადენაუერის უახლოესი მრჩეველი იყო აქტიური ნაცისტი გლობკე — „მესამე რაიხის“ რასისტული კანონების ერთ-ერთი ავტორი, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პოსტი დიდხანს უკავა სამხედრო დამნაშავეს ფრენკელს, ხოლო დასავლეთ გერმანიის სასამართლოში იყო ბევრი მოსამართლე, რომლებიც წინათ ნაცისტურ ტრიბუნალებში მოქმედებდნენ.

ბონის ასეთ პოლიტიკაში არაფერი იყო შემთხვევითი: ბონის სახელმწიფოს მაშინდელი გამგებელნი დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად ომის შემდეგ მალე დაადგნენ სახელმწიფო და სასამართლო აპარატში, პოლიციასა და ბუნდესვერში ძველი ნაცისტური კადრების გამოყენების კურსს. სწორედ ამის შესაბამისად აშუშავებდნენ დასავლეთ გერმანიის კანონმდებლობას. ამ ამოცანას ექვემდებარებოდა ბონის იუსტიციის პრაქტიკაც.

იურიდიული ზღუდე, რომელიც თავის დროზე ბონელმა კანონმდებლებმა აღმართეს ნაცისტ დამნაშავეთა გადარჩენის მიზნით, ძირითადად ითარის ჯალათი, სს-ის ყოფილი გენერალი ჰაინე-ბერნარდ ლამერდინგი მომეწახა დიუსელდორფში, სადაც ომის შემდეგ მოკალათდა.

თავდაპირველად ლამერდინგი იმალებოდა, შიშობდა, ვაითუ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ საფრანგეთს გადამცენო, სადაც დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი სიკვდილი. ასეთი განაჩენის საფუძველები საკმაოზე მეტი იყო. ომის წლებში ლამერდინგი სარდლობდა სს-ის დივიზიას „დას რაიხს“, რომელიც 1944 წელს აღმოსავლეთის ფრონტიდან საფრანგეთში გაგზავნეს პარტიზანთა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებისათვის. ყველგან, სადაც კი ეს დივიზია გაიელიდა, სისხლის კვალი რჩებოდა. ლამერდინგს მიუძღოდა მთავარი დანაშაული საფრანგეთის სოფელ ორადურის ტრაგედიაში, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. მისი ბრძანებით ორადური აღგავეს პირისაგან მიწისა, მცხოვრებნი კი დახვრიტეს. მას მიუძღოდა ბრალი საფრანგეთის ქალაქ ტულის 99 მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვაში, რომელიც მისი განკარგულებით ჯავრის ამოსაყრელად ჩამოახრჩვეს ფრანტირერთა მოქმედებისათვის.

როცა ომის შემდეგ სს-ელი ჯალათი დარწმუნდა, ბონში არავითარი საფრთხე არ მელისო, დი

სიტყვა ბასკებზე

(დასასრული).

სიტყვები ჩარჩა მხოლოდ მეხსიერებაში, როგორც შორეული გამოძახილი, და თურმე ახალი ენის გამოგონება მოუდგა.

მაგრამ განა არ შეიძლებოდა გადასახლების მიზეზი გამხდარიყო სხვა, ნაკლებად ფანტასტიკური მოვლენა? გავიხსენოთ „ახალი ტომებისა და დიალექტების შექმნის პროცესი გაყოფის გზით“, რაზედაც წერდა ფრიდრიხ ენგელსი. თავის შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

ლეგ უსპენსკის წიგნში „სიტყვა სიტყვებზე“ ენგელსის მიერ დახატული სურათი გადმოცემულია ზუსტად და ცოცხლად, არა მგონია საჭირო იყოს ცდა მისი უკეთ გამოსახვისა.

ძველად ადამიანთა გვარები და ტომები განუწყვეტლივ იშლებოდნენ, ყოფებოდნენ და იყოფოდნენ. როცა ტომი მომრავლდებოდა, საკუთარ მიწა-წყალზე თავის რჩენა უჭირდა. მაშინ გამოეყოფოდა უფრო ახლო ნათესავთა დიდი ჯგუფი და თავის გასატანად გაემართებოდა ნადირითა თუ მიწის ნაყოფით მდიდარი ახალი სამოსახლოების საძებნელად. ტომის ნაწილი იმავე ადგილზე რჩებოდა, ნაწილი კი მაშინდელ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს მიდიოდა. ამასთან ერთად იყოფოდა დიდი ტომის სამეტყველო ენა. პირველ ხანებში, ცხადია, ერთნაირად ლაპარაკობდა. ადამიანები ერთმეორისათვის გასაგებ საერთო ენაზე მეტყველებდნენ. მაგრამ გაყოფის შემდეგ დროთა განმავლობაში ერთმეორისაგან ზღვის უბეებით, უსიერი ტყეებითა თუ უდაბნოებით დაშორებული მემკვიდრეები თანდათანობით ივიწყებდნენ მამაპაპურ სიტყვებს... თანდათანობით ყოველი ცალკე გამოყოფილი ტომის ენა კილოდ ანუ დიალექტად იქცეოდა, რაც ენობრივი ოჯახის ნაწილად, რაც ინარჩუნებდა ენის ბუნებას, მაგრამ ბევრ რამეს იძენდა ახალს, დამოუკიდებელსა და თავისთავად. ბოლოს დგებოდა დრო, როდესაც ეს ცალკეული დიალექტი იქცეოდა დამოუკიდებელ ენად. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ეს ახალი ენა სრულიად გაუგებარი ხდებოდა იმათთვის, ვინც ოდესღაც მამაპაპურ ენაზე ელაპარაკობდა. მაგრამ სადღაც ხიღრმის შრეებში მაინც ინარჩუნებდა იმ ძველი, წინაპრების ენის თვისებებს, მსგავსებას, რაც შეუმჩნეველია ცალკეული დაუკვირვებელი კაცისათვის, მაგრამ მისაწვდომია სწავლული ლინგვისტისათვის. ბევრი ენა შორეულ წინაპართა ენის მსგავსი დარჩენილა დღემდე, დღესაც განაგრძობს ენობრივი „ოჯახების“ გაერთიანებას, თუმცა, ამ ოჯახების შორის, ამ ენებზე მეტყველ ხალხებს შორის დიდი მანძილი და განსხვავებაა.

დიდი მანძილები...

შავი ზღვის სანაპიროებიდან ბისკაის ყურის სანაპირომდე მიგრაციის უნარი შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ძლიერ, განათლებულ ტომს, რომელსაც ამასთან ექნებოდა „ძლიერი იარაღი“ — მაშ სხვანაირად როგორ გაიტანდა თავს უცხო შორეთში, სადაც ყოველ ჩამოსულს ხმე უყურებენ, როგორც მტერს?

XIV-XII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთადერთი ტომი, რომელსაც უნარი ჰქონდა დიდი რაოდენობით რკინის მოპოვებისა და გამოყენებისა, იყო ხეთების ტომი. განა არ შეიძლება თამამად ვიგარაუდოთ, რომ ერთი-ორი საუკუნის მოგვიანებით გამოჩნდა ახალი ტომი, მონათესავე და მეზობელი ხეთებისა, რომელმაც იგივე შეძლო? ასეთი ტომი გახლდათ ქართველთა ტომი, იბერთა მოდგმა.

რკინა? იქნება სპილენძის შედნობაც ხელეწიფებოდათ?

რატომ ეძახდნენ ბერძნები სპილენძს „სალკოსს“, რომელსაც უკავირებენ უძველესი ქართული ტომის ხალდების სახელწოდებას? ასევე ბერძნული სახელწოდება ფოლადისა მომდინარეობს ქართული ტომის ხალიბების სახელისაგან, ჩვენ ისევ და ისევ ძველი ახსნის წინამე ვდგებით.

ერ ვიცი, რატომ, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ისეთი აზრი მქონდა, რომ როდისმე ესპანეთში მოვხვდებოდი. როცა ეს დღეც დადგა (ეს კი მოხდა ამ ათი წლის წინათ), შევეცადე ამ მოგზაურობის მომზადებული შეეხვედროდი. ჯერ კიდევ მოსკოვში მიგეკარი ტყავის ზოლს რამდენიმე ნივთი, და ახლა, როცა მადრიდში აღვაღიქ ქუჩა მოენახე, მშენებელ ბასკებს მივუახლოვდი. ბედზე სწორედ შესვენება იყო. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ბასკი, გვარად ირიბარი, დასავლეთ გერმანიაში ყოფილა ნამყოფი მთელი ორი წლით და ცოტათი იცოდა გერმანული. ვთხოვე, არ გაგიკვირდეს-მეთქი, და ვუჩვენე შუაზე გადატეხილი ასანთის ღერი, თანაც ვკითხე: როგორ იქნება-მეთქი ბასკურად „ნახვარი“.

— ერდი.

— ჰო, ერთი ხომ ერთია და ქართულად არსებობს კიდევ მონათესავე სიტყვა „ზვერდი“. წავიდეთ წინ. ეს რა არის? — და საყმაწვილო კონსტრუქტორის ბორბალი ვუჩვენე.

— ბირიბილ.

— იქნებ ეს „ბორბალია“? არა უშავს რა, ეხეც ვარგა. როგორლაა თქვენებურად „გასადები“?

— „კილცა“. თქვენებურად?

— ჩვენებურად „კლიტე“.

შემდეგ სამი მონეტა ვუჩვენე, თითო ათსანტიმიანი, და ვკითხე, რამდენია-მეთქი. ირიბარმა მიუგო:

— ოგეც ტა ამარ: ოცი და ათი.

ასე დაიწყო თამაში, რაც განვაგრძე ბასკებთან ყოველი შეხვედრისას, მექსიკასა და საფრანგეთში, აგრეთვე მეცნიერებთან, რომელნიც ბასკურ ენას სწავლობენ, ინგლისსა და ამერიკაში.

ვინ მიპასუხებდა, რატომ ყოველნი სრულიად ერთნაირად ან თითქმის ერთნაირად ბასკონიასა და საქართველოში სიტყვები: მაღალი, ბარი, ბორბალი, ერი, მამაკაცი? ძალაუნებურად გებადება აზრი შორეულ ერთიანობაზე, მამაპაპათა ნათესაობაზე. რატომ ჰქვია ქერს ორ ენაზე ერთნაირი სახელი: „კარი“ და „ქერი“?

პურის, ხორბლის შესახებ ცალკე უნდა ვილაპარაკოთ.

აკადემიკოსმა ნ. ვავილოვმა, ცნობილმა საბჭოთა სელექციონერმა, მცენარეთა კულტურების მსოფლიო კერების ძიებაში ლამის მთელი ქვეყნიერება მოიარა, იყო ბასკონიასა და ასტურიაშიც. მაშინ, ჩრდილოეთ ესპანეთში იპოვა პურის ისეთი სახეობა, რაც მხოლოდ საქართველოში იყო ცნობილი და სხვაგან არსად.

ვავილოვმა ყურადღება მიაქცია პატარა ჯოხებს, რომლებითაც თავთავებს გადატეხენ ხოლმე. უბრალო ხელსაწყომ აკადემიკოსი დაინტერესა. ის წერდა:

„ჩვენს მრავალრიცხოვან მოგზაურობებში, როცა ხამოცი ქვეყანა მოვიარეთ, ვერსად ვნახეთ მოსავლის მოწევის ასეთი ხერხი, მხოლოდ შემდეგ ვიხილეთ ის დასავლეთ საქართველოში, დაბა ლეჩხუმში, ხადაც ახლახან აღმოჩნდა ხორბლის შესანიშნავი ენდემური ჯგუფი, მათ შორის განსაკუთრებული სახეობა, ყველაზე უფრო მსგავსი ასლის, სპელტისა (ე. ი. ინ ასლისა, რომელიც ვავილოვმა ჩრდილოეთ ესპანეთში ნახა).

შემდეგ აკადემიკოსი წერს ისეთ რამეებს, რომელთა განსჯა და გულისყურით მოსმენაც გვმართებს:

„ამრიგად, აგრონომიულად და ბოტანიკურად შთრეხდა განსაცვიფრებელი კავშირის დადგენა ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის. ამასთან თვით ობიექტი და თვითონ აგროტექნიკა იმდენად სპეციფიკურია და განუმეორებელი, რომ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია დაეჭვებაც კი ამ კავშირის სიღრმესა და მნიშვნელობაზე“. ესეც ხომ ერთ-ერთი სარწმუნო საბუთია „იმ თეორიის ჭეშმარიტებისა, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ ესპანეთის ხალხები გენეტიკურად შეკავშირებულნი ერთიან ოჯახში... თანამედროვე კავკასიის ხალხებთან“! (ნ. ვავილოვი. „ბუნი კონტინენტი“, მოსკოვი, 1962, გვ. 214).

...მას შემდეგ, რაც „ნედელიამ“ გამოაქვეყნა ჩემი ნარკვევი „ბასკები, საიდან არიან წარმოშობთ?“ — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ასზე მეტი წერილი მივიღე. რჩევაც იყო, სურვილებიც, მაწყვეტა. არ დამავიწყდება მოსკოვში მცხოვრებ ბასკებთან შეხვედრები, არ დამავიწყდება ორი საუბარი დოლორეს იბარურისთან და მისი სიტყვები, ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერილი: „მე ეუსუურვებ ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს და ყველას, ვინც საქართველოში მუშაობს კავკასიის ხალხთა და ბასკთა ენების სიახლოვის პრობლემებზე. მრავალ წარმატებას თავიანთ საინტერესო მუშაობაში. გულითადად. დოლორეს იბარური“.

ცხადია, საჭირო და საგულისხმო იქნებოდა ბასკთა ენისა და ისტორიის საბჭოთა სპეციალისტის, კუიბიშეველი სწავლული, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ზიცარის აზრის გაგება. „ნედელიაში“ ის წერდა: „I. ბასკთა და კავკასიელთა ნათესაობა ნამდვილად შესაძლებელია, და დროთა მანძილზე ეს შესაძლებლობა სულ უფრო აშკარა ხდება. II. ჩვენს დროში წამდვილად შეიძლება ვცადოთ ამ ნათესაობის შესწავლის დაყენება უფრო სერიოზულ ნიადაგზე“.

აი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის არნ. ჩიქობავას აზრი:

„ენა სამართლიანად თვლება ისტორიის უძველეს და უმართლეს მოწმედ. ბასკური ენა გარემოცეული ინდოევროპული ენებით (ლათინურითა და შემდგომ ესპანურით, კატალონურით, ფრანგულით) და სულ მცირე ორი ათასი წლის განმავლობაში ითითვისა არც თუ მცირე ინდოევროპული სიტყვა. მაგრამ ბასკური ენის სტრუქტურა, და უწინარეს ყოვლისა მორფოლოგიური წყობა ინდოევროპული ენების სტრუქტურას იმდენად სცილდება, რომ არც ერთ ლინგვისტს აზრად არ მოუვა ბასკური ენის ინდოევროპულ ან სემიტურ ენებთან დაკავშირება“.

ბასკური და ქართული ენების სტრუქტურულ სიახლოვეზე რომ ლაპარაკობს, არნ. ჩიქობავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერენეის ნახევარკუნძულის კანტაბრიის მთები გრამატიკული სტრუქტურით, ენობრივი აზროვნების სახეობით პირდაპირ ეხმაურებიან კავკასიის მთებს, რომელთა მახლობლადაც შემონახულა არქაული წყობის ენების ჯგუფი: იბერიულ-კავკასიური ენები“. ამ ენების მონაცემები მნიშვნელოვანია არა მარტო შესაბამისი ხალხების ისტორიისათვის, არამედ ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერის ისტორიისთვისაც.

სასიამოვნო იყო არნ. ჩიქობავასაგან წერილის მიღება. აკადემიკოსი მოხარულია, რომ ინტერესი ბასკებისადმი იზრდება. არანაკლებ საინტერესო და სასიამოვნო იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ წინადადება, რომ დამეწერა რომანი „იბერიული ლეგენდა“.

შემდეგ „მოოდია გვარდიამ“ გამოსცა რომანი სახელწოდებით „სამეფო ფურისულა“. გამოიცა მშვენივრად, ბრწყინვალე ილუსტრაციებით, გაიზავნა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში და დაიწყო ცხოვრება იმ დამოუკიდებელი ცხოვრებით, რაც უჯდ ავტორის უფლებებს აღემატება.

ალექსანდრე კიკნაძე.

ქ. მოსკოვი.

ვეტერანის სახელოვანი საქმეები

გუდაუთის რაიონის დურიფშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვიქტორ ტვანბა კარგი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო თანასოფლელებში, არამედ მთელს აფხაზეთში.

თავმჯდომარის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია მშობლიურ სოფელთან. აქ დაიბადა, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა იგი. აქედან, როცა უადრესად მშვიდობიანი პროფესიის მუშაკი იყო (ვიქტორი ხოფლის კლუბის გამგედ მუშაობდა), 1941 წელს ფრონტზე წავიდა.

რიგითი ჯარისკაცი ვიქტორ ტვანბა გამოირჩეოდა მამაცობით, გამჭრიახობით, და 1942 წელს იგი დანიშნეს 383-ე მსროლელი დივიზიის დაზვერვის უფროსად. ოფიცერთა კურსების დამთავრების შემდეგ ერთ წელიწადში, ახალგაზრდა ოფიცერი სუვოროვის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელგანთქმული 32-ე გვარდიული დივიზიის ტამან-სევასტოპოლის გვარდიული 85-ე პოლკის მზვერავთა ოცეულის მეთაური გახდა.

ბევრი მამაცური საქმე გააკეთეს ვიქტორ ტვანბას მზვერავებმა. ოცეულის მამაც მზვერავთა მიერ მოპოვებული საყურადღებო ცნობები ხელს უწყობდნენ დივიზიის წარმატებით შეტევას.

ოცეულის მეთაურს, რომელმაც ომი კენიგსბერგში დაამთავრა, მკერდს უშშვენებს შრომის წითელი დროშის, ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის, ორი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი და რვა მედალი.

ვიქტორ ტვანბა მშვიდობიან შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა: ვ. ტვანბა სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრია.

სურათებზე: დურიფშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვიქტორ ტვანბას სამუშაოზე მიეჩქარება; სოფლის უხუცესთან მახტი ტარკილთან საუბარი; ბევრი რამ აქვს საამბობი შვილიშვილების დაურასა და კამასათვის პაპა ვიქტორს.

ი. ბოხოლეიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

400 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“

ბორჯომი. (საქინფორმი). „ბორჯომის“ იმპორტიორ ქვეყნებს შეემატა კიდევ ერთი სახელმწიფო — ფინეთი.

ახლა მიმდინარეობს „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანების № 1 ჩამოსხმელი ქარხნის რეკონსტრუქცია. აქ იდგმება ნეხოსლოვაკიაში დამზადებული სამი ნაკადური ხაზი. თვითეული მათგანის მწარმოებლობა საათში 15 ათასი ბოთლია.

წელს გაერთიანების ორივე ქარხანა 1973 წლის ენ მილიონი ბოთლი „ბორჯომის“ ნაცვლად 400 მილიონ ბოთლს გამოუშვებს.

მოთავალი ინქინრების სამჭედლოში

ფოთი. (საკ. კორ.). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფოთის საღამოს სწავლების ფაკულტეტზე სამასამდე სტუდენტი ეუფლება საინჟინრო მეცნიერებას. ფაკულტეტი უშვებს საავტომობილო გზების, ელექტრომანქანების, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის. წყალმომარაგება და კანალიზაციის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის, საწარმო დანადგართა ავტომატიზაციისა და სხვა სპეციალობებს.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტი დაამთავრა 350-მდე სტუდენტმა, რომლებიც მეზობელი რაიონებისა და ქალაქების სახალხო მეურნეობისა და მშენებლობის სხვადასხვა ობიექტებზე ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას.

საღამოს სწავლების ფაკულტეტისათვის ქალაქის ცენტრში აშენდა ახალი შენობა 25 სალექციო ოთახით, ხოლო 22 ოთახი დაეთმო კაბინეტ-ლაბორატორიებს. ძოძავალი ინჟინრების სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებიან როგორც ჩამოსულნი, ისე ადგილობრივი ლექტორები.

მეცნიერება და ტექნიკა

აქ სიახლე იბადება

ახალი გასაზომი ხელსაწყოები

სახალხო მეურნეობის ვერცერთი დარგი ვერდს ვერ აუვლის ავტომატური კონტროლის საშუალებებს და პარამეტრებს — სიჩქარის, გადაადგილებისა და აჩქარების სიდიდის, როდესაც ხანის ხანის და წარმადობის რეგულირებას.

ხსენებული სიდიდეების გასაზომად საჭირო ხელსაწყოების შექმნა, მათი სტანდარტიზაცია და ამ დარგის მაღალი ტექნიკური დონის უზრუნველყოფა — აი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზეც თბილისის ტაქომეტრის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო მუშაობს. აქ შექმნილ ტაქომეტრიულ აპარატურას (როგორც სამრეწველოს, ისე ლაბორატორიულს), სიჩქარესაზომებს, ავტომობილის ტაქსომეტრებს, იმპულსისა და სვლის მრიცხველებს, ზავი მეტალურგიის წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და კონტროლის ავტომატიზაციისათვის საჭირო ხელსაწყოებს წარმატებით იყენებენ ანა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უცხოეთშიც.

ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი თუ შემუშავებული ხელსაწყოები შედის მართვის სისტემებში, რომლებსაც ამუშავებენ სხვადასხვა ქალაქების საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები და ინსტიტუტები.

უკანასკნელ ხანებში ბიუროს მეცხრე კავშირი დაამყარა მეტალურგიულ ქარხნებთან, აგრეთვე იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ამუშავებენ მართვის სისტემებს ზავი მეტალურგიის საწარმოებისათვის.

ამ დღეებში გამოიცა გაიარა ბიუროს კონსტრუქტორების მიერ გლინვის სწავლა-აღზრდის პროცესისათვის შექმნილმა სამმა ახალმა ხელსაწყომ. ესენია: უნიფიცირებული, ციკად ნაგლინი და ხრახნიანი მილების სიგრძისა და რაოდენობის ავტომატური ხელსაწყოები.

ამ ხელსაწყოების საშუალებით ინოსმება თვითეული მილის სიგრძე (გაზომვის სიზუსტე 10 მმ), აღირიცხება მათი რაოდენობა, ზდება მიღებული შედეგების ავტომატურად, საბეჭდი მანქანის საშუალებით რეგისტრირება და ეს ინფორმაცია ჯერ სათანადო კოდს გადაეცემა, შემდეგ კი მართვის სისტემის გამომთვლელ მანქანას.

ამ ხელსაწყოების გამოყენებით კონტროლისა და ანგარიშგების სამუშაოების დროს იზრდება შრომის ნაყოფიერება, უფრო ზუსტდება ინფორმაცია, რაც საშუალებას იძლევა გამომთვლელი მანქანის საშუალებით მოხდეს ყარიზმების ოპტიმალური დაგეგმვა და მართვა.

სახელმწიფო კომისიამ დადებითად შეაფასა ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი ახალი ხელსაწყოები და რეკომენდაცია მისცა მათ სერიული წარმოებისა და დანერგვის.

აღსანიშნავია, რომ ამ ხელსაწყოების დამუშავებაში სათანადო წვლილი მიუძღვით ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ბიუროში, მხარში ამოუდგნენ გამოცდილ კონსტრუქტორებს და მრავალ სასარგებლო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი.

ხელსაწყოების სერიული გამოშვება გათვალისწინებულია დაიწყოს საწარმოო-ტექნიკურმა გაერთიანებამ „ელექტროხელსაწყომ“. უკვე მიღებულია პირველი დაკვეთები ტაგანროგიდან, სევერსკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

რ. მუხიგულაშვილი.

ჩინეგული პარტია ვეიკ-ან-ზეედან

ნონა გაფრინდაშვილმა ვეიკ-ანზეეში (ჰოლანდია) რამდენიმე ლამაზი პარტია მოიგო, მაგრამ მათ შორის, ეტყობა, საუკეთესოა ჩინებულად ჩატარებული შეხვედრა ცნობილ ოსტატ ვან დერ მიიე-ნიკოლაუსთან.

რა თქმა უნდა, შავებით მოთამაშე ნიკოლაუსათვის საიდუმლოს არ შეადგენდა, რომ ნონა ძალიან ხმირად მიმართავს თავის საყვარელ დასაწყისს — ესპანურ პარტიას. ამიტომ მან მომართა თითქმის მივიწყებულ ძველებურ გაგრძელებას, რომელსაც თანამედროვე მოჭადრაკეებიდან მხოლოდ დანიელი ვროსმაისტერი ბენტ ლარსენი იყენებს. ნონამ ორიგინალურად წარმართა დასაწყისი. მან დათმო ორი კუ (რომლებსაც მოჭადრაკეთა დიდი უმრავლესობა ძნელად შეეფეთა ხოლმე), დასაწრო მეტოქეს ფიგურათა განვითარებაში და დაიწყო იერიში ცენტრში დარჩენილ შავ მეფეზე. ნიკოლაუს ეტლის უხერხული მანევრის განხორციელება მოუხდა და მიხი ძალების კოხსოლიდაცია დაირღვა.

თვალყური ადევნეთ როგორი თანმიმდევრობით აწარმოებს იერიშს მსოფლიოს ჩემპიონი. მე-15 სვლაზე ხარისხის შეწირვამ კიდევ უფრო დაასუსტა შავების პოზიცია. საფინალო შეტევა ლამაზია და, ვფიქრობთ, ჭადრაკის მოყვარულთ დიდხანს დაამახსოვრდებათ.

გაფრინდაშვილი — ვან დერ მიიე-ნიკოლაუ

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♁b5 ∂ge7 4. 0-0 a6 5. ♁:c6 ∂:c6 6. d4 ed 7. ∂:d4 d5 8. ∂:c6 bc 9. ed cd 10. c4 d4 11. ♁f4 c5 12. ₾f3 ♁a7 13. ₾c6+ ♁d7 14. ₾e1+ ♁e7 15. ₾:e7+! ♁g:e7 16. ₾:c5+ ♁ge8 17. ∂d2 ♁b7 18. ₾e5+ ♁gf8 19. ₾e1 h5 20. h3 h4 21. ∂b3 f6 22. ₾e6 ♁c8 23. c5 g5 24. ♁d6+ ♁g7 25. ∂:d4 ♁:d6 26. ∂f5+ ♁g 27. ∂e7+ ₾:e7 28. ₾:e7 და შავები დანებდნენ.



გედმა გაუღიმა

ონი. (საკ. კორ.). რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა მ. ჩაჩავიანმა ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ავტომოტოლატარეის მეცხრე გათამაშების ბილეთი ნომერი 45, სერია 192300, რომელსაც ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ ხვდა.

სურათზე: პან ჩონ კირისა და ჯ. ნიკარაძის (მარცხნივ) ორთაბრძოლა.

ბ. ბოგოხიას ფოტო.

სპორტი

თბილისის საერთაშორისო

პირველი ჩემპიონები

ბუშინ საღამოს სპორტის [illegible] — ეიმე [illegible] — [illegible] ... ში საზვიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის მეექვსე საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში წელიწადს ტატამის ოსტატთა სარეკორდო რიცხვმა მოიყარა თავი — 150-მა ფალავანმა 14 ქვეყნიდან. გაიმართა მონაწილეთა პარადი. ასპარეზობა მისასალმებელი სიტყვით გახსნა ჟიდაობა ძიუ-დოს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ფირანიშვილმა.

სპორტსმენებმა კი „ურთიერთობის გარკვევა“ დილით დაიწყეს. ტატამზე პირველად გამოვიდა ქვემძიმე წონის 20 ათლეტი. ჩინებულად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა — რ. ხარშილაძემ, ამირან მუზაევმა და თემურ ხუბულურმა და აგრეთვე კიდევ ერთმა საბჭოთა სპორტსმენმა — ვიქტორ ბეტანიოვმა. მათ მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება. გუშინ საღამოთი მათ შორის გამართული დამატებული ორთაბრძოლების შედეგად პირველი ადგილი და ტურნირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა რამაზ ხარშილაძემ, რომელმაც ფინალში სძლია თ. ხუბულურს, მანამდე კი დაამარცხა ა. მუზაევი, ხოლო ხუბულურმა — ბეტანიოვი.

ასევე 20 ათლეტი ეცილებოდა ერთმანეთს ფინალში გასვლის უფლებას [illegible] ... ბაბოთა ძიუდოისტებმა — მიუნხენის ოლიმპიადის გამარჯვებულმა შოთა ჩოჩიშვილმა, საბჭოთა კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ანსოლუტურ წონაში კატეგორიაში ჯიბილო ნიკარაძემ, ალექსანდრე ზვერინცევმა და მიხეილ გრიფმა. მძიმეწონასთა ასპარეზობაში ყველა მოუთმენლად ელოდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის პან ჩონ კირისა (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) და ჯიბილო ნიკარაძის ორთაბრძოლას. ეს შეხვედრა ნიკარაძის გამარჯვებით დამთავრდა.

საინტერესოდ წარიმართა ფინალური ასპარეზობა. ჯ. ნიკარაძემ მოუგო ჯერ ა. ზვერინცევს, ხოლო შ. ჩოჩიშვილმა დაამარცხა მ. გრიფი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნიკარაძე და ჩოჩიშვილი. გაიმარჯვა ჯ. ნიკარაძემ.

ნ. კოსტავა.

სურათზე: პან ჩონ კირისა და ჯ. ნიკარაძის (მარცხნივ) ორთაბრძოლა.

ბ. ბოგოხიას ფოტო.

ქრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ანგარიში გათანაბრდა

მეშვიდე პარტიის წაგებამ ლევიტინს ხელი არ ააღებინა სიცილიურ დაცვაზე. ეს ასეა, მაგრამ მან მაინც გაითვალისწინა გაკვეთილი და ამავე დებიუტში სხვა ვარიანტს მიმართა. ალექსანდრიამ დასაწყისში გარკვეული უპირატესობა მიიღო, მან ვრეალი როქი გაკეთა, ლევიტინამ — მოკლესი პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ ასწრებს იერიშს დაწყებას. თბილისელი შეეძლო უფრო ადრე დაეწყო შეტევა, მაგრამ მე-16 სვლაზე ზუსტად არ ითამაშა. ლევიტინამ ფაისვე ისარგებლა ამ გარემოებით და სახიფათო მოქარა შექმნა ლაზიერის ფრთაზე, სადაც თეთრი მეფე დარჩა. 26-ე სვლაზე ნანს მხედველობიდან გამორჩა ტაქტიკური დარტყმა — კუს დროებითი შეწირვა. შავების უპირატესობა აშკარა გახდა. შემდეგში ალექსანდრიას შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ დროის ნაკლებობის გამო ზუსტად ვეღარ ითამაშა.

პარტია გადაიდო. ლევიტინამ მატერიალური უპირატესობა და მოგების შესაძლებლობა შეინარჩუნა.

რამდენიმე სტრიქონით

მაგიდის ჩოგბურთი. კალკუტაში (ინდოეთი) საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით დაიწყეს მსოფლიო ჩემპიონატის პირადი ასპარეზობანი. კაუნასელმა ასტა გიდრაიტიტემ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი პოი იუ-ლანი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) — 3:1, სვერდლოვსკელმა ტატიანა ფერდმანმა მოუგო ლიუდმილა სიდოდოვას (ჩეხოსლოვაკია) — 3:1, ლვოველმა ანატოლი სტროკატოვმა სძლია პედერ ენგელს (გფრ) — 3:1, ხოლო მოსკოველმა სტანისლავ გომოზკომა იაპონელ სიგეი იტოს — 3:1.

ფრანბურთი. ქალთა შორის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ოქროს მედლების პრეტენდენტთა გუნდების რიცხვი რვამდე შემცირდა. აღპარეზობის გადამწყვეტ ფაზაში ეს გუნდები შევიდნენ ერთმანეთთან მოპოვებული ქულებით. ლიდერია ვორონეჟოვგრადის „ისკრა“, რომელსაც 6 ქულა აქვს. 5-5 ქულა მოაგროვეს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა და მოსკოვის „დინამომ“. შარშანდელ ჩემპიონს — ცსკა-ს, კიევის „ბუდიველნიკს“ და ბაკოს „ნეფტჩის“ 3-3 ქულა აქვთ, მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 2, ხოლო სვერდლოვსკის „ურალოჩკას“ — 1. მეორე წრის მატჩები გაიმართება კიევსა და ყაზანში.



ტელევიზია

15 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „მოდი, ზღაპარო“! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შვეისწავლოთ ქართული ენა“, 12.15 — „დიდება შრომას“. სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. სატელევიზიო ფილმი — „ოლხიდა“, 12.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.25 — ნახატი ფილმი „რექსი — დამცველი“, 13.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — ჩვენი სპორტის პრობლემები — ფეხბურთი, 15.40 — ქართული მხატვრული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“, 17.00 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მოძმე ხალხთა ხელოვნება“ ყაზახეთის სსრ, 19.15 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა (გამეორებით), 19.55 — კომპოზიტორი შოთა მიღორავა, 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა; 21.05 — ფერადი ტელევიზია. მინიატურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური პანორამა“. დასასრულ ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშახტეები“, 19.05 — კონცერტი, 20.00 — სატელევიზიო ფილმი „ლეგენტანი“, 20.10 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „უცხო ქალი“.



რადიო

16 თებერვალი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბჭოთა კომპოზიტორი ბის სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — „პიონერთა დაფიონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა“, 13.00 მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი, „